

፩፻፲፭. ፭. ፳ ፱ ፻ ፻

ენა და კულტურა

ଟ ୧ ୬ ୫ ୮ ୬ ୦ ୯୦
ଶ୍ରୀମତୀ. ପାଞ୍ଜାଲାପାଣ୍ଡିତ୍ୟ ମହିଳା

୬୨୬୬୯୮୪୦୪୩ ଅକ୍ଟୋବର ୧୯୩୪ ୬୨୬୩-୩୬୯୧ସୂଚିକାଳୀ



ଶରୀରକାଳୀନ

აკად. ნ. ი. გ ა რ ა ლ

ენა ღა ა გ რ მ ვ ნ ე ბ ა

34580

თ ა რ გ ა ნ ი
ქოც. კარგალაშვილის მიერ



ს ა ხ ე ლ მ ა ფ ი ფ ი რ ი ფ ი ლ ი ს ა ს ტ . - პ ე დ ა გ მ გ ი ფ ი ს ა 0
ვ ა მ ა მ ა მ ა მ ა მ ა 1 9 3 4 ს ა დ ა ტ ი ს ა 0

კორექტორი: ს. შონია
გადაეცა წარმოებას 11/X—33
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XII—33
სტ. ქ. 62X94. ს. 6. ფ. 39.000
მთავლ. რწმ. № ა—791
ტირაჟი 3000. შეკვ. № 782
სახელგამის 1-ლი სტამბა, პლეხ. პრ, № 91

არის თუ არა ახლა მომენტი ისეთი განყენებული თემებისათვის, როგორიცაა „ენა და აზროვნება“? გრანდიოზული წამოწყებების ეპოქა, საკოლმეურნეო მშენებლობის აღმავლობა მსოფლიო მნიშვნელობის შედეგებითა და კლასობრივი ბრძოლის უკიდურესი გამწვავების გაცხოველებით, — ეს არის ეპოქა არა მარტო ჭვრეტისა და მოძღვრებითი ფილოსოფიისა, არამედ აქტების ფილოსოფიისაც და მოქმედი ლონისძიებებისა ს ს რ კ-ის ხალხთა განთავისუფლებისა და უოველგვარი ყალიბის დიდმპყრობელობის გაბათილებისა, მიუხედავად კაპიტალისტური იდეალიზმისა და ნაციონალიზმის მებრძოლი მაგნებლური ნაირსახეობების ყოველგვარი ცდისა და ეშმაკური ხლართებისა, როცა კულაკი და ყველა მისი იდეოლოგიური მოკავშირე ჩუმი ქშენით თუ გადამწყვეტი იერიშით ყველა ფრონტზე, იდეოლოგიურზეც აგრეთვე, გვიპირისპირებენ ხშირად თითქოს ჩვენი მეგობრებისაგან შემდგარ ფალანგებს. ბრძოლა ისე მწვავლება, რომ, ერთი საზღვარგარეთელი კომპეტენტური პირის სიტყვით, ყველაზე „მშვიდს“ (pacifiques) სამეცნიერო მუშაქს, საბჭოთა მეცნიერს, არ შეუძლია თავისი უყოყმანო ჩრდენის მთელი სიღრმით არ გააცხადოს ჩვენი საბჭოთა განუყოფელი აზროვნების მიხედვით, — სამეცნიერო-თეორიული, საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზროვნების, — რომ ამგვარ მომენტში ნეიტრალური ყოფნა მეცნიერისთვის — ესაა თვითმკვლელობა, ბოროტმოქმედება.

ამხანგებო, „ენა და აზროვნება“ ჩემი აქ გამოსვლის მონაცემთში — მოხსენების ოცდაათ წუთში ჩატევის ტემპით, თუნდაც ერთ საათში, ეს იმ შეშლილის საქმეა, რომელიც საცერტი ქარიშხალს აგრძოვებს, ვინაიდან საქმე ეხება ლინგვისტიკურ მრნაცემებს და ისიც ენის შესახებ იმ ახალი მოძღვრების საფუძვლის მიხედვით, რომელსაც თითქმის არავინ იცხობს ანდა, თუ იცნობს ვინწე, უმეტესად მტრული გუნდებაგანწყობილების დამახინჯებული გაშუქებით. შეუმოკლებლადაც კი (ახლა მხოლოდ ნაწილს წავიკითხავ, განსაკუთრებული ვიყავი მოხსენება პრობლემის ერთი მხრისკენ მიმემართა, ენის შექმნის პროცესის მხრისკენ მსოფლიო მასშტაბით, ისევე როგორც

აზროვნებისა, და ამასთან დაკავშირებით ორივე კატეგორიის (ენისაც და აზროვნებისაც) დადგენისკენ აღმოცენებულ ქლასთა ბრძოლის პროცესში, მოყოლებული ცხოველურ სამყაროსთან განხეთქილების ეპოქიდან.

მაგრამ ვინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ ენა ჩვენში, ჩვენს კავშირში, განყენებული მატერია? რომ აზროვნება, ურომლისოდაც ენა ვერ წარმოგვიდგენია, ჩვენში სწორედ სოციალისტური მშენებლობის ამ თავის დაუზოველ ძალთა დაჭიმვის დღეებში განსაჭურებულ ლირებულებას არ წარმოადგენს?

ჩვენი აზრები, ჩვენი გარკვეული დიალექტიკურ-მატერიალისტურად გამახვილებული აზროვნება, როცა მის დაუფლებას შევძლებთ, რათა საკუთარი სპეციალობის კონკრეტულ მასალაზე გავანალდოთ იგი, მოქმედი თეორიულ-სამეცნიერო აზროვნება ხომ ჩადის იმას, რომ ჩვენი ენა ისეთ მნიშვნელობას იღებს, რომელსაც ვერაფრით შეჭანაცვლებთ ჩვენს თვალწინ. წერთდროულად გაშლილი დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლის ველზე!

ენა, თავისი წარმოშობით საერთოდ, და ხმიერი ენა განსაკუთრებით, იმიტომა „კულტურული აღმავლობის მძლავრი ბერკეტი“, რომ იგი—კლასობრივი ბრძოლის შეუნაცვლებელი იარაღია.

ვამტკიცებ ამ ჩემი თქმის სრული პასუხისმგებლობის შეგნებით, რითაც ძირეულად ვშორდები ბევრ ჩემ აშხანაგს, რომ არაა ენა, რომ მელიც-კლასობრივი არ იყოს, და, მაშასადამე, არაა აზროვნება, რომელიც კლასობრივი არ იყოს.

მაგრამ თუ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის დღეებში შეგნებული კომუნიზმისკენ წარმართვით, უკლასო საზოგადოების მსოფლიო მეურნეობის ერთიანობისკენ წარმართვით, ცალკეულ ფეტიშებიდან და შოსაჩენრად მოქმედი უცვლელი თვისებებისაგან მთელის ნაწილების ურთიერთობის მედებაზე ჩვენი სოცლმხედველობის საწყისების გადანაცვლებისკენ წარმართვით, რომელნიც (საწყისები) ამ მთლიანობაში პოულობენ თავის განსაზღვრას და ცვალებად ურთიერთობიმართებაში თავის საზოგადოებრივ ლირებულებას — მნიშვნელობას, — თუ ენა აღმძვრელი ღვედია საზოგადოების ზედნაშენური კატეგორიების დარგში, რომლის (საზოგადოების) შენებას მიზნად აქვს ხელი შემოხვიოს და მააწყოს მთელს ჩვენს კავშირში, მთელ მსოფლიოში გაფანტული საწარმო მშრომელი ძალები, ხოლო აზროვნება კი ამა თუ იმ გააზრებას აძლევს, ე. ი. ამ მიმტან ღვედს — ენას — მიმართულებას და შეგნებულ ტექნიკას, მაშ, ისე როგორც უცოდინარი ვერ იმუშავებს ფაბრიკაში დაზგასთან, თუ არ უნდა ბორბლის მსხვერპლად იქცეს, ისე როგორც

ვერ გამოვიყენებთ ტრაქტორს სათანადო ცოდნის გარეშე, – ისევე ჩვენს დროში მიზანშეწონილად ვერ გამოვიყენებთ, თუ არ გვინდა ჩვენივე საქმე დაევაზიანოთ და მტრის საქმეს მოვეხმაროთ, კლასობრივი ბრძოლის ისეთ მძლავრ ორპირიან იარაღს, როგორიცაა ენა, თუ არ დავეუფლეთ მის ნამდვილ ტექნიკას და არა ფორმალურ დასანახაობას, თუ არ დავეუფლეთ, მაშასადამე, მას თეორიულად, მის ფუნქციონალურ არსებას მთლიანად და ნაწილებშიც.

ვინც მხარს უქცევს ენის ახალი მოძღვრების წარმატებებს მის მიერ დაბყრობილ აზროვნების ისტორიულ ანალიზში, ვინც ჯიუტობს და არ აქვს სურვილი დაინახოს აზროვნების ტექნიკის ჩანასახი მდგომარეობის ამ ანალიზის გამჭრიახობის ხარისხი, იგი ისპობს მძლავრ იარაღს კოხკრეტულ მასალაზე მუშაობისათვისაც, ვინაიდან განზრახ იარაღსა ჰყრის ამით კულტურული ფრონტის. ისეთ მონაკვეთზეც, როგორიცაა ანტირელიგიური ბრძოლა.

ამგვარი იარაღის ქონებისას საჭირო არ არის მოწინააღმდეგის გამოდევნა ერთი პოზიციიდან იმ აზრით, რომ მას შესაძლებლობა მივცეთ მეორე ან მესამე პოზიცია დაიკავოს; მით შეიარაღებული თითქოს ქიმიურად გახსნის ყოველგვარი რელიგიის, ყოველგვარი რელიგიური რწმენის ყოველგვარ დასაბუთებას.

ამ ბრძოლაში საქმე გაფეტიშებული ტერმინები „ღმერთი“, „წმინდანი“ და სხვ. კი არაა, არამედ მათი საწარმოო და საზოგადოებრივად აღმოცენებული ფუნქციები და განსაკუთრებით ამ ფუნქციების ურთიერთმიმართება.

ის კი არაა საშიში ჩვენი საზოგადოებრიობისათვის, რომ ვინმე იტყვის „спасибо“ (წარმოებული თქმიდან „спаси бог“), ან თუნდაც „მადლობა ღმერთს“, არამედ ის, თუ რა ადგილს უთმობს მთქმელი თავის მოქმედ სოფლმხედველობაში გაფეტიშებულსა და იპოსტაზისირებულ ტერმინს. არც ერთ ანტირელიგიურსა და მებრძოლს აზრადაც არ მოუვა დაუმიზნოს რუს კაცს, როცა იგი მალარიის პაროქსიზმის დროს ამბობს: „меня лихорадит“—მაციებს, ან ფრანგს, როცა ბევრი სიცხის დროს ამბობს: „il fait chaud“—„მაცხელებს“, „მე ბეკელას“ მაგიერ და წვიმის დროს „il pleut“, „ის ასხამს ციდან“, როგორც გერმანულად „es regnet“ წვიმა მოდის მაგიერ და სხვ., თუმცა ყველა ეს ე. წ. უპირო ზმები: რუს: „меня лихорадит“, ფრანგ. „il fait chaud“—„მაცხელებს“, ფრანგ. „il pleut“, გერმ. „es regnet“—„ის ასხამს ციდან“, უპერხულობაში გვაგდებენ, როგორც გამონაკლისი ზმები, ვინაიდან ისინი აღნიშნავენ ჯანმრთელობის ან ამინდის მდგომარეობას და გაფორ-

მებული არიან, როგორც მოქმედებითი გვარის ზმნები, მიუხედავად ჩვენი აზროვნების მოლოდინისა; ეს აიძულებს სქოლასტიკური გრამატიკის შემდგენლებს „უპიროები“ უწოდონ მათ, იმ დროს როცა ნამდვილად ეს პირი, მესამე, არის, მაგრამ ეს პირი სუბიექტია, „ის“ (იH, იна იHО), ოდესლაც საწარმოო ტოტები: რუსულ ზმნაში „меня лихорадит“ ესაა—უძლურების სული, ფრანგულ ზმნაში „il fait chaud“ — 'აცხელებს', ესაა — „მზე-ღმერთი“ (le soleil), და ფრანგულ ზმნაშივე il pleut, როგორც გერმანულ ზმნაში es regnet, „ის (ღმერთი-ცა) ასხამს წყალს“, ესაა „ღმერთი-ცა“, ესაა — მე-მკვიდრეობა კაცობრიობის ნამდვილი პირველყოფილი ყოფისა, ამას-თან ერთი ეპოქისა კი არა, სხვადასხვა ეპოქისა, როცა კაცო-ბრიობა დარწმუნებული იყო, როგორც ახლა ვწტყვით, ჯერ კი-დევ სწამდა, რომ ავადმყოფობას აჩენენ და ამინდს აყენებენ განსა-კუთრებული სულები, დეთაებები. და სხვა ფეტიშები. ენის ახალი-მოძღვრება ხომ ასე ხსნის არა მხოლოდ ღმერთის გაჩენას, არამედ, რაც მნიშვნელოვანია, მასთან დაკავშირებულ ახლაც არსებულ გადა-ნაშთი სოფლმხედველობის მიხედვით. ჩვენი რეალური ცხოვრების ცველა დამოკიდებულებებს!

და ჩვენი კავშირის ხალხთა ნაციონალური ურთიერთდამოკი-დებულებებში [ეს კი მოითხოვს მეტად ლრმა და ყოველმხრივ ანგა-რიშის გაწევას] საქმე ამა თუ იმ ხალხის უგულობელსაყოფი, სასაცი-ლო ან საძრახი საყოფაცხოვრებო მეტსახელი კი არაა. დიდმყრო-ბელობის ხანგრძლივი ჩაგრა და ნავარდი (არა მხოლოდ რუსეთის დიდმყრობელობისა) ისე ამცირებდა (საზღვარგარეთ ახლაც ამცირებს) დევნილ ან მათ თვითცნობიერებაში მორალურად დამცირებულ ნა-ციონალურ ერთეულებს; რომ ხალხთა მთელი რიგი დღესაც ემიჯნება თავის მშობლურ სახელწოდებას, რომელიც თავისთავად აბსოლუტუ-რად სათაკილოს არას წარმოადგენს; პირიქით, იგი თუ კაცობრიო-ბის ისტორიაში თავისი კულტურული წვლილის შემტან მეტად ცნო-ბილ უძველეს ხალხთა სახელი არაა, — ყოველ შემთხვევაში ყოველ-თვის წარმოადგენს ან კოსმიური სოფლმხედველობის ეპოქების სა-ხელწოდებას — „ცის შვილები“, „შზის შვილები“ და სხვ., ან იშვიათად ტოტებური სოფლმხედველობის ეპოქების სახელწოდებას — მცენა-რეული ან ცხოველური სამყაროდან და მაშინაც, როცა მათ აქვთ თითქოს აშკარა საფუძველი ცუდი აზრით იყვნენ ახლა განმარტებულ-ნი, მაგ., „ძალის შვილები“.

მაგრამ არაა არც ერთი ხალხი, რომლის წინაპრებს არ გაევ-ლოს კულტის ძალის ინავე გაზრების სოციალური განვითარების

სტადია, თუნდაც ახლა იგი მყვირალა ნაციონალურ სახელწოდებას ატარებდეს.

ამრიგად გამოირკვა, რომ მეგალითური ძეველი ქვის ჟპოქებიდან მოყოლებული ევროპული ხმელთაშუაზღვეთის ქალაქთმშენებლობის შექმნამდის ცენტრებით ბერძნებისთვის—ათინა და ლათინებისთვის—რომი, ერთმადაიმავე სიტყვამ ინაცვლა. თავისი მნიშვნელობა (შინაარსი) სიმხეთში გეხამის მთებზე აღმოჩენილ ქვის გოლი—ათი თევზებიდან მოყოლებული, მინერვა-ქალაქთმშენებელამდის და სიყვარულისა და სილამაზის ვენერამდის.

იგივე სიტყვა აღნიშნავდა არა მხოლოდ ორ შოწინააღმდეგი ცნებას—'ქალწულს', 'დედას' ('ვესტალკას') და 'სიღამაზით მოვაჭრე ქალს',— არამედ 'ძალლს', უპირველესად ყოვლისა საკულტო ძალლის სხვადასხვა სახეს, დაწყებული კოსმიური კერძერიდან, რომელიც დასავლეთიდან ქვევით—მიწის ქვეშ. სამყაროში—გადანაცვლებულ ჯოჯოხეთს ყარაულობდა, მზის გმირის ორეულამდის—კავკასიის ამირანამდის, რომელიც შემდეგ ქრისტიანობის დროს წმ. გიორგად იქცა. თუმცა რეალურ ძალლს არა მხოლოდ ცწობილი ფრანგი მხატვარი და ლიტოგრაფი Charlet-ი (1798—1822) უძლვნის პატივისცემის ხარჯს თავის კვიმატი სიტყვებით: „საუკეთესო ადამიანში ესაა ძალლი“—თ (ce qu'il y a de mieux dans l'homme c'est le chien).

საქმე სახელწოდება კი არაა, რანაირად სათაკილოც უნდა იყოს ის, არც მისი უარყოფა; საქმე ის კი არაა, რომ უკრაინელს ვინმე მალოროსს უწოდებს. ოქტომბრის რევოლუციის მიღწევა ის. კი არაა, რომ „მალოროსებს“ უკვე უკრაინელებს უწოდებენ, არამედ ისა, რომ სოციალისტური მშენებლობის მიერ თანდათან შებოჭვილ მცხოვრებთა სიფლმხედველობაში ცნებათა ურთიერთდამოკიდებულებანი ისე ეწყობიან, რომ საბჭოთა მოქალაქეს შეურაცხმულფელი აზრის იდეოლოგიური გამართლებისათვის არავითარი საყრდენი არა აქვს გარდა გადანაშთი შეხედულებებისა, და მას კი, ვიმეორებ, ენის ახალი მოძღვრება ხსნის როგორც გუშინდელი დღის. „ჭეშმარიტებას“, ე. ი. ომგორც დღევანდელი დღის არაკს.

ამავე დროს კი ენა, შემეცნების წყარო, სრულიად არაა. გამოკენებული აქამდის თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ყოფის ისტორიის უმნიშვნელოვანეს დარგში, სახელდობრ ადამიანთა კოლექტივის მიერ თავის თავის შექმნის დარგში, მაშასადამე, თვითშექმნის დარგში¹⁾.

1) ეს ისაა, რასაც ენგელსი ამტკიცებდა შრომის, მუშაობის შესახებ: „sie [die Arbeit] hat den Menschen selbst geschaffen.“ (Der Anteil der Arbeit an der menschwerdung des Affen, გვ. 122).

რალა მოხდა? ოქტომბრის რევოლუციამ ააფეთქა კარჩაკეტილი „საშეაროები“ და საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობს ახალი ენობრივი მშენებლობა; მთელი კავშირი ენის შემოქმედების ლაბორატორიად გადაიქცა: 169 გუშინ არარსებული ან უუფლებო ენა, ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა, თითქოს, რასულად ჩანერგილი ჩამორჩენილობრივი გამო, არსებობას და დამწერლობას იღებს, ამ ენებზე მასური მუშაობა მიმდინარეობს.

და განა წინათ მათ არ სწავლობდენ?

საქმე ის კი არაა, რომ სწავლობდენ, და უნდა ითქვას მუყაითა-დაც სწავლობდენ, არამედ ის, თუ რა ხერხით და რა ტექნიკით სწავლობდენ.

მაინც, უმეტეს ნაწილს არა სწავლობდენ და ადგილებზე არც შეეძლოთ შესწავლა. ერთი მაგალითი. ოქტომბრის რევოლუციამდის სამი-ოდე წლის წინ, თითქმის იმპერიალისტური ომის წინა დღეს „თერგის გაზეთში“¹⁾, ვლადიკავკავში, რომელიც კავკასიის მთების პეიზაჟებით—ბუნების მომხიბლავი სურათებითაა შემორტყმული, ერთი მაშინ ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა კავკასიისმცოდნეობის სპეციალისტი. ალნიშნავდა ადამიანის უყურადლებობას თავის თავისადმი და წერდა ამ სათაურით: „მხარის შეუმჩნეველი სულიერი სიმღიდრენი“, — მაშინ-დელი თავისი სოფლმხედველობის სტილით წერდა: „ეს მედიდური და ეფექტური სილამაზე უფრო გაბედულებს ოდნავ გატკეპნილ ბილიკებიან კავკასიის უბიწო კუნძულებში იტყუებს. არის დაწესებულებებიც, მოწოდებულნი—შეუმსუბუქონ ტურისტებს მგზავრობა და ბუნების ღირსშესანიშნაობის დათვალიერება. მაგრამ, თუ არ ვცდები, არ არის არც ერთი წრე მხარის ჰუმანიტარული ლირსშესანიშნაობისათვის მიძღვნილი. რა ხშირადაა (არ მინდა ვთქვა, რომ ყოველთვის) ადამიანი დავიწყებული: გულგრილად დავიწყებულია ხალხის ფიქოლოგია და მრავალსაუკუნიანი, დაუდგომლობით სავსე, ადამიანის სტორია ამ მხარისა. ამავე დროს კი იგი პოულობს გასაცვიფრებელი სიცხადით და ყოველგვარი ტენდენციურობით გალამაზებას მოკლებულ ასახვას მრავალრიცხვოვან ე. წ. მთის [სკელდობრ, რო-გორც ახლა ვიტყვით, მთებში შერეკილ] ტომებისა და ხალხების ყოფაში და მეტყველებაში. თვით ქალაქში შეიძლება ამ მონაცემებით სარგებლობა, ხელში გქონდეს ცოდნის ამოუწურავი საგანძური, ადა-მიანთა დოკუმენტების ცოცხალი მუზეუმი, რომელსაც არა თუ ადგი-ლობრივი მუზეუმი, ლმერთმა მოუმართოს ხელი მის აყვავებას, არა-მედ მსოფლიოს ვერც ერთი მუზეუმი ვერ შეეჯიბრება მასალის სა-მდიდრითა და ამ მასალის ღრმა მნიშვნელობით“.

¹⁾ № 192, 1914 წ. 26 ი ნისი.

საკმარისია შევჩერდეთ თუნდაც ენებზე, ე. წ: „მთის ენებზე“..
ახლა ვლადიკავკავში რვა სამკვლევრო ორგანიზაციაა, რომ-
ლებსაც ამ მხარის მოსახლეობასთან პირდაპირი დამოკიდებულება-
აქვთ, ასეთებია: მთის პედაგოგიური ინსტიტუტი, ეთნოლოგიურ-
ლინგვისტური საზოგადოება, ინგუშეთის მხარეთმცოდნეობის სამე-
ცნიერო-სამკვლევრო ინსტიტუტი, ინგუშეთის სალიტერატურო სა-
ზოგადოება, ინგუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ოსეთის მხა-
რეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.
მუშაობს მათი პროდუქციის გამოშეღავნებელი პუბლიკაციების მთელი
რიგი; აღარას ვამბობთ ნაციონალურ ენებზე არსებულ პრესაზე.

მაგრამ წინათაც / ხომ სწავლობდენ? ამასთან, რა ხავდადებით!
რა უზარმაზარი მემკედრეობა დატოვებული ზოგიერთ ენებში; კავ-
კასიის ამ ნაწილზეც კი, ჩვენი კავშირის მინიატურულ მონაკვეთზე,
რა პატივი ეცა ოსურ ენას!

ვიმეორებ, საქმე ის კი არაა, რომ სწავლობდენ, როცა იშვიათ,
შემთხვევაში მაინც სწავლობდენ, არამედ ის, თუ როგორ სწავლობ-
დენ? მათ სწავლობდენ სხვათა შორის, იმდენად— რამდენადც.

ნამდვილად და თავისი დროისთვის სერიოზულად შხოლოდ ორ-
სამ ენობრივ სამყაროს სწავლობდენ და ამ სამყაროშიც შესწავლის
მიზანი იყო არა მთელი ენა თავის რთულ მთლიანობაში, არამედ
თხელი ფენები, რასაც წარმოშობით ერთგვარი მთელი მასივის მეტ-
ყველებად ასაღებდენ.

ჩვენ სავსებით აკადემიურად ვლაპარაკობთ ამ მნიშვნელოვან
მოვლენაზე სამკვლევრო საქმის ასეთ „წმინდა-მეცნიერული“ გან-
წყობის უკვე გაშიშვლებულ ფესვებზე და მიზეზებზე მიუთითებლად..
მივიღეთ ისეთი კატასტროფული მდგომარეობა, რომ მეტყველების
ნამდვილად აკადემიური, თეორიული კვლევა თავის თავს ბიწიერ
წრეში ამტკვდევდა, მთელ რიგ ბიწიერ წრეებში, და შესაძლებლობას
ისპობდა წმინდა ჰაერზე გამოსულიყო; ეს სულის შემხუთველი წრე-
ები ჭუჭრუტანებში იწმინდებოდა, სადაც ევროპულ კლასიკურ და-
მათთან კლასობრივად-მონათესავე ენებში ძლიერ; ძლიერ უშვებდენ,
როგორც სრულუფლებიანს, აგრეთვე ბრძოლით, არა ცოცხალი მეტ-
ყველების გამაცოცხლებელ ზეფირს, არამედ უფრო ძველ და უძვე-
ლესი დამწერლობით შენახულ მცირე აზიისა და მესოპოტამიის
მკვდარი ენების შმორიან სუნთქვას.

მთელი ქვეყანა ენების მხრივ ასეულ ჩაკეტილ სამყაროებად.
დაიშალა, და, აი, როცა ოქტომბერმა ეს სამყაროები ააფეთქა, როცა-
ყალბი ზღუდები ობობის ქსელივით აშალა, ენის ქველი მოძღვრება,

მოულოდნელ, მდგომარეობაში აღმოჩნდა: მას არა მხოლოდ იდეოლოგიური მომზადება არ აღმოაჩნდა ახალი ენების თავის სამკვლევრო ლაბორატორიაში აღსაქმელად, არამედ ჩვენი კავშირის ენების ასეთუისე ხეირიანი უბრალო სიაც კი, რაც დღესაც არა აქვს.

თორებ რაღა გვეთქმის მთელი ქვეყნის ენების კრებულზე? ახლა გამოსულმა ასეთმა კრებულმა, სორბონის პროფესორის, ფრანგინდებრძოლებისტის მედეს ვიზით, თვით ამ ენების საცოდავი უცოდინარობა გამოამჟღავნა და ინდივიდუალური მიკერძოების უკიდურესობა უკვე არსებულ თეორიულ განწყობათა ანგარიშის გაწევაში.

ამ შრომამ, რომელიც ლინგვისტ-სოციოლოგის „ერისკაცის“ ლოცვა-კურთხევით გამოვიდა, დაჩრდილა თვესობრივადაც და რაოდენობრივადაც პატერ შმიდტის პროდუქცია. დასავლეთში პატერ შმიდტის სამეცნიერო ხარისხის მნიშვნელობა და გავლენა შეიძლება ფორმალურად წარმოვიდგინოთ. იმ ფაქტით, რომ მესი 60 წლის საუბილეო კრებულში (დაახლოვებით 1000 გვერდი i.e. folio) მონაწილეობა მიიღო 76 მეცნიერმა, მოწაფემ და პატივისმცემელმა, ლინგვისტმა, რელიგიის ისტორიკოსმა, მატერიალური კულტურის ისტორიკოსმა, რომლებსაც ეთნოლოგებსა და არქეოლოგებს უწოდებენ, და სხვ.—ექვს ეკრობულ ენაზე.

რითმა გაიმარჯვა მან? მხოლოდ იმით ხომ არა, რომ ყურადღება უმთავრესად მადლიერ მასალას, ჩამორჩენილ ხალხთა ენებს. მიაპყროვი

პატერი შმიდტი პირდაპირ აცხადებს, რომ მისი იდეოლოგია, მისი ენათმეცნიერული ნაგებობა სულთან იდის, რომელიც შან მისტიკური კულტურული წრეებიდან არანაკლებ უიმედო ჩიხში შეაგდო. ან პატერ შმიდტის მიდგომა, უფრო სწორია, როგორც კომპლექსური, იგი ანგარიშს უწევდა არა მხოლოდ მეტყველებას, არამედ ყოფას, მატერიალურ და „სულიერ“ კულტურას?

ამ მიდგომას პალეოეთნოლოგიურს უწოდებენ.

არც ის და არც ის, რამდენადაც მისი მეთოდიდან და ზოგადი განწყობილან გამოვლივართ.

პატერ შმიდტის ზოგადი განწყობა „კოლონიებში“ ეკროპის მისიონერული მუშაობის სასიცოცხლო დაინტერესებით აიხსნება, სხვადასხვა სარწმუნოების ეკლესიის მსახურთა მუშაობით; გზადაგზა, განგებ თუ შეუგნებლად, ვინაიდან კაპიტალისტური ქვეყნების ნებას ასრულებდენ და უცხოეთში ზოგჯერ დახმარებას პოულობდენ იმათთან, ვინც სამშობლოში სდევნიდა მათ და სრულუფლებიანობას. ართ-მევდა,— მისიონერები თავისი საპროპაგანდო წარმოებით მთელი ქვეყანა

ნის ენების აღრიცხვას ივალებდენ. მათ ჩვენამდის თითქმის ასი წლის წინ მოასწრეს და ხელი მოხვიეს შესწავლის მიზნით მათთვის კოლონიურსა და ნახევრადეკოლონიურ სამყაროს თავისი უჯრედების შეოხებით და ამ სწავლისათვის პრაქტიკულად აუცილებელი სამკვლევრო მუშაობით, რომ ვიცოდეთ, თუ რამდენად გაუსწრეს საერო ლინგვისტებს ყველა ნაირსახეობის მისიონერებმა ენათა აღრიცხვით, საკმარისია ლვოისმეტყველებისა და ფილოსოფიის დოქტორის პასტორ K. Grundemann-ის შრომაზე მივუთითოთ — „ყველა რაიონის მისიონერ [შხოლოდ] ევანგელისტების ახალი ატლასი [პამასთან] განსაკუთრებული ყურადღებით [შხოლოდ] გერმანული მისიებისადმი“ (Neuer Missions-Atlas aller evangelischen Missions-gebiete mit besonderer Berücksichtigung der deutschen Missionen), მეორე, შესხებული და შესწორებული გამოცემა, რომელიც 1903 წ. გამოვიდა 1895 წლის პირველი გამოცემის შემდეგ, ეს კი იყო მხოლოდ განვითარება 1861 წლის პირველი კარტოგრაფიული ცდისა მხოლოდ მარტო გერმანელი ევანგილისტების მიხედვით, სხვა ნაირსახეობებს კი თვლა არა აქვს. კათოლიკების მიხედვით? აქ პაპის ტახტის pronaganda de fide-ს მივადგებით, სარწმუნოების პროპაგანდის სკოლას.

მიუხედავად ამისა მისიონერი-ევანგელისტები თავისივე წარმოებით იძულებული იყვნენ აღენიშნათ ალფაბეტების აგების ნაირსახეობების უვარებისობა, რომლებიც ევროპის დიდმცყრობელური ქვეყნების წერით ტრანსკრიპციას წარმოადგენდენ, და მკვეთრად დაეყენებინათ საკითხი ერთიანი წერის შესახებ. მსოფლიო მასშტაბით. სავსებით ჩვენი კონკურენტები გამოდგენ!

ყველა ამ მისიონერთა გარეშე წრეებს ხომ, თუ გამოვრიცხავთ ინდივიდუალური რიგის უტოპიურ პროექტებს, შეგნებული არა ჰქონდათ ამ მხრივაც კაცობრიობის ენის მსოფლიო ერთობანობა. ნამდვილ სპეციალისტებს, რომელნიც ემსახურებიან „მეცნიერებას, მეცნიერებისათვის“, არ გაუფრთხილებიათ: „ემზადეთ, მსოფლიო მეურნეობასთან ერთად ენის ერთიანობა მატულობსონ“: პირიქით, ისინი აფრთხილებდენ ენის ერთიანობის წინააღმდეგ მომავალშიც, და ამ აზრით მკვეთრად ილაშქრებდენ თვით საერთო ხელოვნური ენის იდეის წინააღმდეგაც კი, ვინაიდან დარწმუნებული იყვნენ ენის: ნატურალობაში და, რაც უკეთესი არაა; „ფსიქოლოგიურობაში“, იმ დროს როცა საქმე მის სოციოლოგიურობას ეხება.

ამავე დროს კი ამ ერთიანობამ არსებით და აქტუალურ ნაწილში, სახელდობრ აზრიანობის ნაწილში, უკვე გადააბიჯა ძველი ლინგვისტიკის თეორიულ საფუძვლებს, კაცობრიობის კლასობრივად არგა-

ნიზირებული ნაყოფიერი შრომის მსოფლიო არენის სივრცეზე მისა მუშაობის ხერხებს.

კარჩაკეტილი სამყაროების აფეთქებით აქამდის სრულიად გა-
მოუყენებული განსაკუთრებული შესაძლებლობანი აღმოჩნდა მეტყვე-
ლებისა, როგორც შეცნობის წყაროსი აზროვნების მხრივაც. მაგრამ
ეს შესაძლებლობანი ანგარიშის გაწევას მოითხოვენ. რისას? იმისას,
რომ აზროვნება, ისე როგორც ენა, „ქმნადობის“ მოვლენაა, და მისი
არსება და ტექნიკა, და ამასთან მისი როლი, ძირეულად იცვლება-
ძერების მიხედვით. ეს ძერები იმდენად მძლავრია, იმდენად უზარმა-
ზარი, ძერების შემდეგ მომხდარი ცვლილებების მიხედვით, რომ ახალი
თაობანი სხვა სამყაროდან მოსულებად გვეჩვენებიან შედარებით იმ
წინა თაობებთან, რომლებიდანაც ისინი ჩამომავლობენ: მათ შორის
გაჩენილი უფსკრულის ნაპირებზე ორი მოპირდაპირე საგანი და;
თითქოს, მოპირდაპირე ცნება ერთი სიტყვით გამოითქმება. ერთი
და იგივე სიტყვა ერთ მხარეზე, და ტოვებულ მხარეზე, ნიშნავს
'თავს' და 'დასაწყისს', ახალ მხარეზე კი, დაპყრობილ მხარეზე, რასა-
კვირველია, ბრძოლით — წარმოების და საწარმოო დამოკიდებულებათა-
განვითარების პროცესში, ნიშნავს — 'კუდს', 'ბოლოს'; ერთ მხარეზე
სიტყვა 'ცეცხლი', მეორეზე — 'წყალი', ერთ მხარეზე 'დღე', 'თეთრი',
მეორეზე — 'ღამე', 'შავი', ერთ მხარეზე 'ზემო', მეორეზე — 'ქვემო'. ე. ი-
ამ ძერებისას სამყარო ყირავდება ზევიდან ქვევით, უფრო სწორედ,
ქვევიდან ზევით და ერთი მიმართულებიდან ანუ გასაზომიდან მეო-
რისაკენ სვლაში გზა ერევა: 'აღმოსავლეთის ქარს' უძანიან იმას, რა-
საც წინათ 'ზემო ქარს' უწოდებდენ, და, 'დასავლეთისას' — წინათ ყო-
ფილ 'ქვემო ქარს'. ასევე მოსღით ცხადად ანუ გარკვეულად დასანახ-
საგნებსაც: ერთ მხარეს სიტყვა ნიშნავს 'მთვარეს', მეორეზე იგი გა-
გებულია როგორც 'მზე'.

მაგრამ, როცა კაცობრიობას უჩნდება მოთხოვნილება გაიგოს,
თუ როგორ მოხდა ეს, არ იცის რა არაფერი მომხდარ ძერებზე, იგი
დროის მიხედვით თავის საუკეთესო მსწავლულ სპეციალისტთა (აზ-
როვნების სპეციალისტთა) სახით აყენებს კითხვას, რომელიც წინას-
წარ იძლევა პასუხს: „რომელი ქვეყნიდანაა ასეთი მოპირისპირე გა-
აზრება მოტანილი?“. ან უფრო უკეთესი: რამდენადაც ამგვარი
ძერების არსებობა არაა გაცნობიერებული, ასეთი საზოგადოებრივად
პირლია უფსკრულების, რომლებსაც, — ახლა თითოეულმა საბჭოთა
ბავშვმაც იცის ეს, — „უნახტომოდ“ ვერ გადააბიჯებ, — ძველი სწავ-
ლის უბრძენეს თავებს, მოწყვეტილებს ცხოვრების მატერიალურ ფუ-
ძეებს და მიწიერი ყოფის შემოქმედებით გზებს, რაც ადამიანთა

მთელ მსოფლიოს, მთელ სამყაროს აწესრიგებს,—ჰეონიათ, გადაწყვეტას დატოვებულ მხარეზე იპოვიან. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ის უკვე იბოვეს იქ; მაგრამ ეს ხომ სივრცის მხარეები არაა, არამედ ღროსი, ესაა — სიბრტყები, თავდაპირველად ორი მხარე, ქვემოდან ზემო, შემდეგ — ღროს; ე. ი. მოძრაობის, სხვადასხვა სიბრტყე, მაშასალამე, მოქმედების და წინააღმდეგობის: ხშირად ორივეს ერთად ვხედავთ, რალგანაც ერთ სიბრტყეზე აღმოცენდენ, ზედა და ქვედა სოციალური ფენების ურთიერთ მიმართებაში, სივრცის ერთ მონაკვეთზე.

ქველი სკოლის სპეციალისტები არსებულს აღიქვამენ, როგორც რეალურს და ყოველთვის არსებულს; ამიტომ აყენებენ კითხვას: „რა იყო წინათ?“ ისინი ვერ გრძნობენ, და ჩაკი მომავალავ საზოგადოებრიობას ეკუთვნიან, არ შეუძლიათ და არ უნდათ, და ან არ უნდათ და ამიტომ ვერა გრძნობენ, რომ წინათ არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო იგივე ურთიერთობა, ვინაიდან სრულიად არ იყო იგივე ფუნქციები, საჭირო ტექნიკაც არ იყო, თვალით ზომავდებ; წარმოდგენები იყო, მაგრამ არ იყო გარკვეული ცნებები, ხოლო როცა განიშანდობლივების შემდეგ ჯერ წარმოდგენები გამოიყენ და შემდეგ მათთან ერთად წარმოებისა და საწარმოო ურთიერთობების განვითარების პროცესში თანდათან ცნებებიც აღმოცენდა, — ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი შეურიგებელი წინააღმდეგობების მქონე ერთსადაიმავე საზოგადოებაში დიამეტრულად მოპირისპირე საგნები, თანაბრადვე მოპირისპირე წარმოდგენები და ცნებები, ერთიდაიმავე სიტყვით აღინიშნებოდა; მეტყველების ეს განუვითარებლობა იდეოლოგიური გაურკვევლობა და დაუნაწევრობა, მხარდამხარ მიეღდინებოდა ხმიერ მეტყველებაში ბგერების არასრულ დაუნაწევრობასთან ერთად, ბგერების საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე კომპლექსებში, მეტყველების თავდაპირველ ელემენტებში, იქაც და აქაც — იდეოლოგიაშიც და მის გაფორმებაშიც, — გარემოს აპობდა, დიფუზურ მდგომარეობას ქმნიდა, რაც წყდებოდა არა თვითმდინარებით, არამედ ისევ მატერიალურ ბაზისში, ე. ი. წარმოებაში და საწარმოო ურთიერთობაში მომხდარი ძირეული ძვრებით; აქაც ისევ არა თვითმდინარებით, არამედ მძაფრი, დაუნდობელი ბრძოლის ფასით და, მაშასაღამე, — გოთხოვთ კარგად დაიხსომოთ, — პირისპირ მებრძოლი საზოგადოებრივი ძალების სათანადო პირობებში.

მაგრამ საქმე კიდევ უფრო რთულდება. ენის ახალმა მოძღვრებამ არა მხოლოდ ორი მხრის წინააღმდეგობა აღმოაჩინა, არამედ სამი მხრისაც: ასე, მაგალითად, არა მხოლოდ 'შემო' და 'ქვემო', არამედ

'ზემო', 'ქვემო' და 'ქვეშ' აზროვნებაში გაცნობიერებული იყო და
მეტყველებაში გამოსახული იმავე წინააღმდეგობათა ერთიანობის
ისტორიული გამოყენების გზით; სათანადოდვე კოსმიური სოფლმხე-
დველობის დროს ჩვენი 'ცა'—'მზიანი ცა' (აგრეთვე 'ლრუბლიანი ცა')
და 'ზემო', ჩვენი 'მიწა' (მცენარეულობის ცა) და 'ქვემო', ჩვენი 'ზღვა'
(მითოლოგიაში 'ქვესკელი') ანუ 'ქვეშ' ადამიანთა საზოგადოებრიობის
კოლექტიური აზროვნების განვითარების ზევით ნაჩვენებ სტადიაზე.
ასენილია, როგორც ერთოდაიმავე სიტყვით აღნიშნული წარმოდ-
გენები. და, ბუნებრივიცა, რომ მტკიცედ ჩამოყალიბებული შეხედუ-
ლებების და წარმოდგენების მქონე ხალხი, მათ რიცხვში მეცნიერი
სპეციალისტებიც, სამი კოსმიური ცნების შესახებ—'ცის', 'მიწის' და
'ზღვის', ამ სიტყვების ანალიზში ისე დაეხეტებიან, როგორც სამ-
ფიჭვს შორის. საქმე სრულიადაც არ ეხება ჩვენთვის რომელიმე გა-
რეშე, უცხო ჯგუფს.

ამხანაგებო, საქმე უფრო მეტად სერიოზულია: შეიძლება შეგვ-
შურდეს თეორიული შეხედულებების ნაირსახეობის მიხედვით უდაოდ
ბრწყინვალე ჩვენი კრების ის ბედნიერი ადამიანი, რომელსაც გამბე-
დაობა ექნება გვიჩვენოს ჩვენს შორის აზროვნების საკითხში თავისუ-
ფალი ადამიანი იმ სპეციალისტების სამეცნიერო მუშაობის დასკვნე-
ბისაგან, რომლებიც სამ ფიჭვს შორის იბნენიან მარქსიზმის ნამდვილ
გაფორმებამდის, დიალექტიკურ მატერიალიზმამდის. მიუხედავად ამი-
სა—საქმე უფრო რთულდება ბაზისის ძირეულ ძრობისაგან შექმნილ
საერთოდ ზელნაშენი კატეგორიების ცვალებადობაში, პირველ რიგ-
ში — აზროვნებისა და ენისა. არც ადგილს, გეოგრაფიას პირზე,
ბუნებას თავისთვალ, თუნდაც წარმოების რესურსებით, რომელთაც
გაუგებრობის გამო აქამდის ბუნებრივ საწარმოო ძალებს, უწოდებენ
ჩვენშიც, არც დროს წარმოებით განსაზღვრული გარკვეული ფუნქციის
გარეშე არა აქვს აგრეთვე არავითარი მნიშვნელობა, როგორც არა-
ვითარი მნიშვნელობა არა ჰქონია მათ აზროვნების, აღამიანთა კო-
ლექტიური აზროვნების განვითარებაში, ან მით უმეტეს—ბაზისის,
მეურნეობის, თვით წარმოებისა და სოციალური სტრუქტურის
ფორმების განვითარებაში. და ამავე დროს კი არ არის არაფერი-
დობის და სივრცის გარეშე. და როცა კაცობრიობა იმ ჩიხში შევიდა,
რომ თავისი რეალური ყოფის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნი-
ლებათა განხორციელებას, ღმერთს, თვისებები და ნიშნები მიაკუთხნა,
წარმოებისაგან და საზოგადოებრიობისაგან მოწყვეტით, დროსა და
სივრცის გარეშე, სწორედ ესაა ვონიეროათვის საუკეთესო და უცი-
ლობელი საბუთი, რომ ღმერთი არაა. და არც იქნება იგი! მაგრამ

ხომ იყო? სრული სიმართლეა; იგი იყო ცოტახანს, მაგრამ არა როგორც რეალობა, არამედ როგორც შეზღუდული შეხედულების. კატეგორია; მარადიული ღმერთი კი, ე. ი. ღმერთი დროს გარეშე, კაცობრიობას არა მხოლოდ იმიტომ არა ჰყავდა რომ იგი უკვე აღარაა და არც იქნება, თავდაპირველადაც აგრეთვე არ ყოფილა, — არამედ იმიტომაც, რომ მარადიულობისათვის დროა საჭირო და დროს შესახებ კი კაცობრიობას დიდიხნის განმავლობაში წარმოდგენა არა ჰქონდა.

ამხანაგებო, ფაქტია, აქამდის არა ყველასათვის ცნობილი, რომ გავიდა არა ერთი ათეულ-ათასეული წელი, გავიდა არა ერთი ასეულ-ათასეული წელი ისე, რომ კაცობრიობას დროის წარმოდგენა არ ჰქონია, როგორც ხანგრძლივობის ზომის ერთეულისა: სიტყვა „დღე“ გაგებული იყო არა როგორც ხანგრძლივობა, არამედ როგორც „დამის“ მოპირისპირე, როგორც „სიბნელის“ მოპირისპირე. მიმდინარე წლის ინცირში ბურუუაზიულ ლიტერატურაში გამოქვეყნდა (ამაზე მე მომიხდა ყურადღების მიქცევა) სპეციალური გამოქვეყნევა დროს შესახებ ადრინდელი ბერძნების გაგებით, ჰომიჩოსის გაგებითაც, და ძნელია დავიჯეროთ, მაგრამ — ფაქტია: გეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი დოქტორი ჰერმან ფრენკელი (Hermann Fraenkel). იმით დაქმაყოფილდა, რომ თავისი გაგება დროსი, თუნდაც თავისი განმარტება დროსი ადრინდელი ბერძნების გაგებაში, მან შესძლო დაესაბუთებია არისტოტელეს ფილოსოფიით.

როცა ასეთი არქაული აზროვნება აქვთ ჩევნს უგანათლებულეს თანამედროვეებს, რაღა საკვირველია, რომ ასე ძნელად ეშყნობა ენის ახალი მოძღვრების მიერ იაფეტური თეორიის მიხედვით გამომზეურებული ენის რთული დიალექტიკა? თუ ენის დიალექტურის გაგება ძნელია, არქაული აზროვნებისათვის, ენგელსის გამოთქმით ამ „ოთხი კედლის გონივრული აზრისთვის“, უაზრობაა ის ფაქტი, უდაო ფაქტი, როცა ქვეყნის ორ მხარეს შესამჩნევია ერთი მთელის ნაწილები მხოლოდ გაფორმების სუსტი ტექნიკური სხვაობით ან წინააღმდეგობათა ერთიანობის მიხედვით ან, პირიქით, ნათესაურიკავშირით მჭიდროდ შედუღებულ ხალხებში — სიტყვაშემოქმედებაში. მასალის სხვადასხვა შერჩევა.

რატომლაა ძნელი მისი შეთხესება?

იმიტომ ხომ არა, რომ მე რუსულ შრომებში გრძელი ფრაზები მაქეს! არ დაიჯეროთ, ამხანაგებო! ფრანგულ ჩემ სტატიებში — მოკლე ფრაზებია. გერმანულ უნაკლო, — ვიტყვი, ბრწყინვალე, — თარგმანებში არავითარი სიძნელე არაა სტილის მხრივ. დაბოლოს ვეცადე რუსულ

ენაზეც მოკლე ფრაზები მეხმარა. შედეგი? იგივეა. საქმე არც სხვადა-
სხვა ენიდან მაგალითების დაგროვებაა. ვეცადი მათი შემცირება,
აი, მაგალითად, დღეს. ყშველის საქმეს? წინათ არ შველოდა. მაშ
რა ამბავია? მე მთელი მოხსენება მაქვს ამ თემით: „რატომაა ასე-
ძნელი ლინგვისტ-თეორეტიკოსობა?“ („Почему так трудно стать
лингвистом-теоретиком?“). მაგრამ იქ ყურადღება მიჩრებულია
ენათმეცნიერების მხოლოდ საზოგადოებრივ სოფლმხედველობაზე.
დავრწმუნდი, რომ არც ეს შველის. მაშ, სადაა დამარხული ახლა,
როგორც ჩანს, ნამდვილად, „საკულტო“ ძალი? ვფიქრობ — იმ
ძვრებში, რაც ახალი ენის მოძღვრებით შემჩნეულია ენებში, მეტყვე-
ლების კონკრეტულ მასალაში. ისინი კი უფრო რთულია, ვიდრე
ჩემს მიერ დასახელებული. შეუძლებელია ახლა იაფეტური თეორიის
ყველა მიღწევების ჩამოთვლა აშ მხრივ, მაგრამ, მაგალითად, შემდეგი
დებულებები საბოლოოდ დადგენილია:

1. მხოლობითი რიცხვი თავდაპირველად არ იყო და მრავლო-
ბითი რიცხვი ერთადერთი გაფორმებიდან გამომუშავდა მხოლობით
რიცხვთან ერთად, მაგრამ თავდაპირველად მაინც — მრავლობა და შემ-
დეგ მხოლობა, როგორც მისი ნაწილი, როგორც მისი მოპირისპირე.

2. ულვლილებაში პირები არ იყო: პირველი და მეორე პირი.
მიხვდებით, რომ, მაშასადამე, საუბარი შეუძლებელი იყო, ე. ი. არ
იყო საბასო ენა. და თუ ორი პირველი პირი არ იყო, მაშ, გასაგე-
ბია, რომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო მესამე პირი, როგორც გრა-
მატიკული კატეგორია, არ იყო საჭიროება მის გასაფორმებლად (ასე,
აორისტი), ხოლო როცა საჭიროება გაჩნდა, — ეს გვიან მოხდა, —
ახლად აღმოცენებული დრო (აწმყო დრო) სახელნაცვლით გაფორმდა.
ეს რაღა მონაცვლეა? ვის ადგილს იჭერს იგი? სახელნაცვალი სახელს
ენაცვლება, მაგრამ სახელი,. როგორც ზედნაშენი ცნება, არ იყო.
მან შენაცვლა ზედნაშენი სახე, ტოტემი. ესაა — ტოტემის მოადგილე.

3. საერთოდ არ იყო ულვლილება და ბრუნება, თუმცა ხმიერი
ენა კი იყო, და ასეთი გრამატიკული ტეირთის გარეშეც ერთმანე-
თისა კარგად გაეგებოდათ, როგორიცაა სწავლა ფორმებზე, მორ-
ფოლოგიაზე. საწარმოო ელემენტები ულვლილებასაც და ბრუნებასაც —
ერთი და იგივე აქვთ, მაგრამ ერთ შემთხვევაში ისინი სივრცეში
მიმართებას ამჟღავნებენ (ბრუნებაში), მეორე შემთხვევაში — დროში,
ე. ი. მოძრაობაში, მოქმედებაში (ესაა — ულვლილება). მაშ, ძირს გრა-
მატიკა? რათა? შევცვალოთ ენის დინამიკის, მისი აგების გაღმოცემით.

4. მოძრაობისა და დგომის ცნებების წინააღმდეგობების ანგარი-
შის გაწევით, რომლებიც დაუნაშევრებლად იმყოფებიან კოლექტივის

ერთიანობაში, სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციაში და მოქმედებაში გამოიმუშავებენ დროს (მოძრაობას) და წინააღმდეგ მოქმედებაში სიერცეს (ადგილს, საღომს), რომელზედაც ამათუმ კოლექტივის წარმოება დახმარება კვანძებიანი გორგალივით — სიტყვაშემოქმედება იდეოლოგიურად სტადიებით ვითარდება დროს მიხედვით, საღაც ერთ საგანთა სახელები ფუნქციურად გადადიან მათ შემცველ სახელებზე და ესენი კი დამოკიდებულია იარაღებისა და წარმოების წესების შენაცვლებაზე. დაგროვებული აზროვნება გავლენას ახდენს ტექნიკაზე, სივრცეში კი — წარმოების კვანძიან გორგლების მიხედვით, რომელშიც თითოეული გაცნობიერებული ნაწილი თავის სახელწოდებას იღებს მთელისგან, როგორც მისი მოპირისპირე, ტექნიკის განვითარებისგან დამოკიდებით. მნიშვნელობათა სტადიურ განვითარებას ეკუთვნის, მაგალითად, მიმოსვლის ცხოველთა ტრანსპორტში შენაცვლება სახელის გადასვლით, როგორც 'ირემის'—'ძალლზე', ან 'ძალლის'—'ცხენზე' და ა. შ. კვანძით განვითარებას კი ეკუთვნის — დახვეული გორგალის ძირეული მნიშვნელობისაგან ბერივატების განვითარება. კიტყვაშემოქმედება 'იზრდება და ვითარდება, ერთი მხრით, როგორც ბაზისის, წარმოებისა და საზოგადოებრივობის, აგრეთვე ზედნაშენის რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდის გამო. ზედნაშენში ნაირსახეობა იზრდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის აზროვნების თვისებრივი სხვაობის გამო. მატება ყოველთვის წინააღმდეგობათა ერთიანობის გზითაა მიღებული.

5. ბერები არ იცვლებოდა, ასრის ცვლა, ბერათა ნაირსახეობა იმავე დროს იდეოლოგიური ნაირსახეობა იყო, და ახლა არაა არცერთი ფორმალურად ანგარიშგასაწევი ბერითი მოვლენა, რომელსაც არა ჰქონდეს ფუნქცია, იდეოლოგიურად დამოკიდებული არა 'ხმარებაზე', არამედ საზოგადოებრივ დაკვეთაზე. ბერათა ნაირსახეობა ესაა — საზოგადოებრივი ფუნქციის ნაირსახეობა, ხოლო თუ აზრის სრული გაურჩევლობით ერთი ამბობს: „რავარით“, ხოლო მეორე: „говорит“, ეს უკვე ხელოვნური შერჩევის საქმეა კულტის, ტრადიციის მიხედვით, ე. ი. რაკი კლასობრიობა უნდა მოისპოს, მნიშვნელობა არ აქვს.

მაშ, ძირს წერის რეფორმა? რათა? რეფორმა ენის ახალი მოძრვა-რების მიხედვით უნდა იყოს არა საქმოსნური, არამედ პრინციპიალური, და აქ ყოველგვარი შემთანხმებლობა გადახრაა გენერალური ხაზიდან არა მხოლოდ თეორიული განწყობისა, არამედ საჭარმოო და საზოგადოებრივი პრაქტიკისაც, მაშასადამე, სოციალისტური მშენებლობის ჩეენს მონაცვეთზეც.



6. სქესები, მამრობითი და დედრობითი, აგრეთვე მსაზღვრელი და განუსაზღვრელი წევრები ახასიათებდენ არა სიტყვებს, რომლებსაც ემატება სათანადო ნიშნები... ჩაღა ვთქვათ, როცა 'ჯენჟინა'-სთან ერთად 'рука' და 'вода' დედრობითი სქესისაა! 'Озеро'? რათა ის საშუალო სქესისა? უფრო უკეთესი: 'дитя' საშუალო სქესისაა, 'судьба' დედრობითისაა. როცა 'лошадь' დედრობითი სქესისაა, 'конь' — მამრობითისა, 'дитя' — საშუალოსი, ვიმეორებ, ეს ახასიათებდა არა ამ სიტყვებს, არამედ საზოგადოებრივ კატეგორიებს, რომელთაც ისინი ეკუთხნდენ ან მიკუთხნებული იყვნენ, საზოგადოების სხვადასხვა კლასს; ამიტომ უფრო ადრინდელ წარმოშობის მრავლობით რიცხვში ისინი არ არიან: მრავლობით რიცხვში დედრობითი 'лошадь', მამრობითი — 'конь' და საშუალო — 'дитя' ძირითად ბრუნვებში ერთნაირად იწარმოებიან: სახელობითი — 'лошади', 'кони', 'дети'; ნათესაობითი, ბრალდებითი — 'лошадей', 'коней' და 'детей'; ასევე საქმე მსაზღვრელ წევრებში (die — გერმანულში). იქ, სადაც ისინი არსებობენ (ბერძნულში), ესაა უფრო გვიანი ადგილობრივი მუშაობის წვლილი მხოლობითი რიცხვის ნორმების შექრით მრავლობითში. ნორმალურად კი მხოლობით რიცხვში ისინი ხან ორია, საზოგადოების ორ მებრძოლ საზოგადოებრივ ჯგუფად დაყოფისას, ხან სამი — სამჯგუფად დაყოფისას უფრო გვიან.

7. ცხილია, რომ ე. ჭ. ახალი ენები; თუნდაც ევროპული (ფრანგული, გერმანული, ინგლისური), უფრო ძველებია გლოტოგონურად, ვიდრე მკვდარი ენები, ევროპის კლასიკური ენები, ლათინური და ბერძნული, მათი ბრუნვებით, ან რუსული ცოცხალი ენა.

8. იდეოლოგიური შენაცვლებები განსაზღვრავენ ბერით ცვალებადობებს, რის გამო ენის განვითარების პროცესში თავდაპირველი ლინგვისტური ელემენტები, რიცხვით ოთხი, მრავალგვარ ცვლილებებს განიცდის იმავე წინააღმდეგობათა კანონის ხლართებში, დათვის განვითარებაში იქამდის მიღიან, რომ ერთ ბერით ცვერად იქცევიან, ხმოვანად თუ თანხმოვანად.

9. ბოლოს, სამეცნიერო აკადემიის უწყებებში იბეჭდება ჩემი შრომა „იაფეტურ თეორიაში მუშაობის მოსაბრუნი პუნქტი (გერმანიაში სამეცნიერო მივლინების შედეგებიდან)“ („Поворотный пункт в работе по яфетической теории (из результатов научной командировки в Германию)“). და ვეურდნობი რა მას, სადაც მიუხედავად გერმანული სამყაროს, კერძოდ ჩემის მხარის, კავშირისა კავკასიასთან და შავ ზღვეთთან, რაც თვალში საცემია „საშუალო საუკუნეებამდიც, როგორც მონუმენტალურ ძეგლებზე არა მხოლოდ

ახენის ტაძარზე ან წვრილ ნახელავებზე, გოთებთან რომ აკავშირებენ“, ასე „სოფლმხედველობის შენაცვლებაზე, უფრო მეტი—ქრისტიანულ რწმენათა შენაცვლებაზე და მათ გაფორმებაზე კულტში (ლაპარაკია პროტესტანტიზმზე)“, —უფრო უშორეს დროს მიმართ მტკიცდება, რომ გერმანული ენა გაუგებრობის გამოა მის უძველეს ნაწილებში ინდო-ევროპული ოჯახის ენებს მიკუთვნებული, რომ ძირითადი თავისებურებანი როგორც გერმანულს, ისე გოთურს საერთო აქვთ იმავე კონკრეტულ კავკასურ ენებთან, გერმანულს სვანურთან, გოთურს კი — მეგრულთან და ჭანურთან.

ჩვენი მოხსენების ძირითად ნაწილზე, აზროვნების განვითარებაზე, საჭიროა ყურადღების მიქცევა, რომ ბერძნების შემდეგ ფილოსოფიის, შემეცნების თეორიის ულრმესი განვითარება, დიალექტიკური, როგორც იდეალისტურ, ისე მატერიალისტურ, გერმანულ ენაზე მოლაპარაკე გარემოში ხდება,—უფრო ძველი სისტემის ენაზე, ვიღრე ბერძნულია. ეს შემთხვევითი როდია.

ევროპის დასავლეთ ნაპირზე პირენეთში, ბასკებში 'ხორბალი' gar-i, რომელმაც უფრო ძველი მარცვლეული 'ქერი' garagar შენაცვლა, ერთიდაიგივე სახელი ჰქვია—საერთო სომხებთან gar-e ↔ gar-, 'ქერი'; მაგრამ პურეულმა მუხის ნაყოფი 'რკო' შენაცვლა და უკანასკნელმა თავისი ფუნქცია პურეულებში ჯერ 'ქერს' გადასცა. 'მუხას' (→'რკო') სომხეთში და ბასკეთში იგივე სახელი აქვთ უფრო ძველს ნაირსახეობით ar-i/*kar-i [n]: ბსკ. Bi ar+i-შა 'ორი მუხა' (ქ. ბიარიცა), სომხ. kag-[i] ni 'მუხა'.

არის ხოლმე ისე, რომ ბასკებს, და იმავე სისტემის მქონე ენების კავკასიის ხალხს, ერთი ასეთი საერთო შედეგნილი სიტყვის ნაირსახეობა. აქვთ: ასე, მაგალითად, ქართ. ga-me, ბსკ. ga-w → ga-b, ე. წ. შეულლებული სიტყვა ორი სიტყვა-ელემენტიდან, რაც ერთნაირად ნიშნავს 'ღამე' ს, მაგრამ ესვევ სიტყვები ცალ-ცალკე იმავე მნიშვნელობით შენახულია (ga-, გა) კავკასიაში აფხაზებში (აფხ. გა), ჭოლგის მხარეში მოკშა-მორდვინებში (ve).

ჩრდილოეთში ფინეთში 'მიწა' გამოიტექმის თუ (ასე, მაგ., კომებში ანუ ზირიანებში). ახლა ჩვენ არ შევდრვართ იმის დასაბუთებაში, თუ რათ გამოითქმის ეს სახელწოდება 'მიწისა' ასე, ან, რომ იგივე სიტყვა თავდაპირველად ნიშნავდა 'ცა-მყარსაც' და მასთან 'დროსაც', 'წელსაც' და სხვ. ეს სიტყვა ცნობილია ჩვენამდე ხუთი ათასი წლის წინათ ხნოვანების მქონე ლურსმულ წარწერაში, შუმერების ენაში—შესოპოტამიაში: ბურუუაზიული ქვეყნების სპეციალისტები ვერ მიმხდარან, თუ როგორ აღმოუჩნდა შუმერულ ენას უდაო კავშირი ცოცხალ, ცენ-

ტრალური აფრიკის თანამედროვე ენასთან — ბანტუს ენასთან, და ამის გამო ერთი კარგი საკითხი დადგა დისკუსიით: შესაძლებელია თუ არა ბეგერითი კანონების ასეთი ხანგრძლივობა; თურქესტანში და შესაბამის კი, სადაც ოწყვის ტერმინოლოგია, აგრეთვე მდინარეების სახელები, კერძოდ ამუ-დარიის, ე. ი. 'ამუს-მდინარის', ახსნილია როგორც შუმერული; მატერიალურ-საჭარმოო ბაზას მოწყვეტილი ცალკე ბეგერებიც კი (მაშასადამე, აკადემიურად ლათ. *deus ex machina*, ჩვენებურად კი, უბრალოდ — მექანისტურია), მათი ფორმალურად და ფიზიოლოგიურად დადგენილი კანონზომიერებით, ახსნილია როგორც ოთხი ლინგვისტური ელემენტის გადანაშთი, რომლებიც გამოსულია შრომის პროცესიდან და ენას, როგორც ზედნაშენს, უკავშირებენ ყოფას; ენის ახალი მოძღვრებით, იაფეტური თეორიით, ისინი ახსნილია და, აი, დისკუსია მიმდინარეობს ამ თეორიის, როგორც „შარლატანურ“ და „მექანისტურ“ (!!) თეორიის წინააღმდეგ შუმერები კი სპეციალისტთა შესაძრწუნებლად ინდოეთის მატერიალური კულტურის ძეგლებისაკენ მიიწვევნ; იაფეტური თეორია ამტკიცებს შუმერების არსებობის ფაქტს არა მხოლოდ „დამლუპველ“ იაფეტურ კავკასიაში, არამედ ვოლგაზეც, ჩუვაშეთში, ფინეთის „ცივ კლდეებთანაც“ სუომებში — იმ ეპოქებიდან მოყოლებული, როცა არც რუსები იყვნენ, არც ფინები, და კარელები დამოუკიდებელ ენაზე ლაბარაკობდენ. დავანებოთ თავი ამ „ძველმანს“. ახლა უნდა აღვნიშნოთ, რომ კომის ან ზირიანული ენის ტექნიკის მიხედვით თუ „მიწა“ უნდა გამოთქმულიყო თავდაპირველად *tar* და ეს საძებნი *tar* ბერბერების ცოცხალ ენაში იმყოფება, სახელდობრ კაბილებში, ისევდაისევ აფრიკაში, 'ქვეყნის', 'მხარის', 'სახნავის' მნიშვნელობით, მაგრამ დედრობითი სქესის გაფორმებით: *ʃ-a-tar-ʃi* (მაროკულად აგრეთვე — *r-s-* დაკარგვით, მაგრამ *a'-ʃ-* რობით და *zir*-თან. შეულვლებით: *ʃ-a-ma+zir-ʃi* 'ქვეყანა'), როგორც რუსული სიტყვა 'ვემლა', გერმანული 'die Erde', 'ფრანგული 'la terre' და ა. შ., სადაც მხოლოდ სქესი გაირჩევა, და ჩვენ ვიცით, რათა ეს ასე.

ბასკები 'ცრემლს' *nigar*-ს ეძახიან, მაგრამ ვერც ბასკები, ვერც ბასკური ენის საუკეთესო სპეციალისტები ვერ გეტყვიან: „რათა“? არ იციან, რომ ის ორი ელემენტისაგან შემდგარი შედგენილი სიტყვა სიტყვა-სიტყვით ნიშნავს 'თვალის' (*pi*) წყალი (*gar*). ორივე ელემენტი დამოუკიდებლად შემჩნეულია, თითოეული, როგორც სიტყვა, კავკასიაში, სადაც თითოეული ამ სიტყვის ნაირსახეობის მთელი რიგი გვაქვს, მაგრამ შედგენილი 'ცრემლის' მნიშვნელობით მხოლოდ ბასკებმია.

ასევე შედგენილი რუსული სიტყვა *sle-za*—'ცრემლი', სიტყვა—
 სიტყვით 'თვალის' (*sle* ← *sel*) 'წყალი' (*za* ← *sa* ← *sal*). სიტყვა *sel*
 უზარმაზარი საერთაშორისო გავრცელება აქვს მიკროკოსმიური ტერ-
 მინის მნიშვნელობითაც 'თვალი' (სუომი — *siimä*, ერზია — *sel-me*, ბრეტ-
 'ხედვა' *sell*) და კოსმიური მნიშვნელობითაც 'მზე' (სომხ. *el* 'მზის ამო-
 სელა') და სხვ. *Za* ← *sa* 'წყალი' — ჩვეულებრივი კვეცილი სახე *sal-*
/dal-, კარგად ცნობილი კავკასიაშიც, — საერთო სიტყვაა. რუსებისა-
 ფინებთან უძველეს შედგენილ ტერმინებში, როგორც ტომურ სახელებ-
 ში — თავდაპირველად კი საწარმოო ტოტემებში, ისე სახელნაცვლებში
 და ზოგად სახელებში, როგორიცაა *Vesni* წინა-ფინური ტომი, და *Mer-
 ya*, რუსული სახელნაცვალი *ve+se* → *ves*, სუომი *vies* 'წყალი', საიდა-
 ნაცაა კოსმიური წყლის ქალღმერთის სახელიც *Vi-sa* და *Vey-sa*,
 შემდგომ ფეოდალური რომანის გმირი ქალის — საარსეთში და საქარ-
 თველოში, როგორიცაა *Iseult* ← *Isolde*, სომხ. [I]-sar+šen-ik, დასავლეთ
 ეკროპის საშუალო საუკუნოების რომანში და სომხეთის უფრო ადრინ-
 დელ ეპოსში. ეს მოვლენები.. მასურია, ასეთი ენათმეცნიერული
 ანალიზი მეზობელ დარგებში იჭრება, არა მარტო ლიტერატურის
 მცოდნეობის, არამედ მატერიალური კულტურისა და სხვ. დარგებ-
 შიც. ესევე მოვლენები შემჩნეულია ახლა ახალი სისტემის ენების
 შიგნითაც, შუა ეკროპაშიც და განაპირა ეკროპულ დასავლეთისაშიც.
 ასე, მაგალითად, ცნობილია, რომ 'ხელიდან', როგორც ბრძოლის
 იარალიდან, წარმოდგება 'ძალა' და როგორც წარმოების საშუალე-
 'ბიდან—'ცბიერობა' (საქართველოში *gone* ფეოდალებში 'ცბიერებას'
 ნიშნავდა, ხალხში 'ძალას'), და ამიტომ გერმ. *Kraft*—ლონე და ინგლ.
 'craft'—'ცნობიერება' ორგანიზაციებაზე ერთიდაიგივე სიტყვისა 'ხელი'
 და ამ მნიშვნელობით მათი ფუძე *kra*, თავდაპირველად *kar*, ენობრი-
 ვი მასალით იხსნება ქართულში, სადაც მისგან ნაწარმოები ზმა-
 გვაქვს *mi-e-kar-a*—'მიეკარა', სომხურში (*kar* 'ძალა' \ *har* 'დაარტყა'
 → *ar* 'აილო') და ბასკურში (*ar-tu* 'ალება', 'აილო') და ა. შ. ან' კი-
 დევ: 'ფუძოხება'. ყველა ენაში იხსნება როგორც მოქმედება 'ზირის
 წყლით', 'ზირის წყლის (ჩამონთხევა)', მაგრამ 'ზირი' და 'სახე' წინათ
 ერთიდამავე სიტყვით გამოითქმოდა; მიუხედავად ამისა, ხმიერ ენაში
 სხეულის ნაწილის სახელები, როგორც მიკროკოსმოსისა, გვიან გაჩნდა,
 უფრო ადრეულ სტადიაზე მხედველობაში ქონდათ 'სახე', არა ადა-
 მიანის სახე, არამედ კლიმიური ტოტემის 'მზის', 'ცის'; ამასთან და-
 კავშირებით რუსულ ენაშიც ჩანს, რომ 'ცა' (ჩენი) ბგერითი სუსტი-
 ცვლილებით 'ჩენი' (noho) იხმარება მნიშვნელობით 'ზირის ღრუს
 ზემო ნაწილი'; უფრო ძველი კისტემის ენებში სიტყვა 'ცა', ასე, მა-

გალითად, ქართულში, შა სრულიად უცვლელად ნიშნავს კოსმიურადაც
 'ცას' და მიკროკოსმიურადაც 'პირის ცას' (სასა), ამიტომ რუსული
 ზნის ფუძე 'प्लेवატ' va → v, 'წყალი', ple 'პირისა', 'სასის', სახელ-
 ლობრ 'ცის'—შემთხვევით არ ემთხვევა ფრანგულ pleuv-oir-ს' წვიმის
 ჩამოვარდნას' (მოსვლა), სახელდობრ 'ციდან წყლის ჩამონთხევა' და
 ა. შ. მაგრამ ესეც ცოტაა: ple მაინც ნიშნავდა 'პირს', 'ტუჩებს' და
 თავდაპირველი სახით pel (\leftrightarrow pil) სვანურად ნიშნავს 'პირს', 'ტუჩებს'
 (pil), ქართულად—'სახეს', 'პირს' (pir). მაგრამ, რაკი 'სახე' pir-ს ნი-
 შნავდა და სათანადო სოციალურ ჯგუფში pel-ად გამოითქმოდა, ამავე
 გარემოში ასევე უნდა გამოითქმულიყო 'ყურიც', 'თვალის' მემკვიდრე
 ცნობიერებაში და სახელის დარქმევაში; კომის ენაზე pel, უდმურ-
 ტულად pel—'ყური' (ოდესლაც 'თვალი', resp 'სახე', მაშასადამე, კოს-
 მიურად 'შე', 'ცა', 'ჰაერი'), 'ქროლვა', 'შებერვა', საიდანაცაა უდმურ-
 ტულივე, pel-te 'ქრის', pel-la—'უბერავს', 'შელოცას ჩურჩულებს'.

მნიშვნელობის გამრავლების ყველა ჩამოთვლილ ხერხსა და სახეს ემატება კიდევ შენაცვლებები განიშანდობლიობის რიგით თავდაპირველი, ყოველთვის კოლექტიური აზრის კერძოზე გადაყვანის ხაზით. და ეს შეეხება არა მარტო საკუთრების უფლების ტერმინებს, რომელიც აგრეთვე კოლექტიური საკუთრების უფლებით იწყება და კერძო უფლებას სულ უკანასკნელ დროს აღწევს, კოლექტიური უფლების სხვადასხვა ჯგუფური სახეების ნაირსახეობის გავლით.

წარმოდგენების კოლექტიურობა თავის მხრით გამოსავალი პუნქტით მატერიალური ბაზიდან ზედნაშენ სამყაროში ნახტომისათვის, ვინაიდან ისეთი საგანი, მაგალითად, როგორიცაა, 'ცული', მართალია, მთელი საწარმოო კოლექტივის პირველყოფილი საზოგადოების ფლობელობაში იყო, მაგრამ ორგვარად აღიქმებოდა, — როგორც კონკრეტული საგანიც 'ცული' და როგორც ზოგადი ცნება 'იარაღი', და ამიტომ ერთი მისი მანიშნებელი სიტყვა 'ცულსაც' ნიშნავდა და 'იარაღსაც'; იმავე დროს, რადგანაც კოლექტიური უფლების აღმოცენების ეპოქებიდან მოყოლებული ხმიერ ენაში მთელ საზოგადოებაზე შიკუთვნება 'ცულისა' მისი გამოშახველი კოლექტივის მთლიანად დასმით გამოიხატება, ე. ი. ტოტების, ამიტომ იგივე ხმიერი კომპლექსი, რომელიც სიტყვას თავში ან ბოლოში ემატებოდა, საგნის საზოგადოებისადმი მიმართების დასხასიათებლად, კოლექტივისადმი მიკუთვნებისა და საზოგადოებრივი მისი ჭმარებისა, — ეს კომპლექსი თვით საგნის დახასიათებაზე გადადიოდა და ამგვარი ნამატით ემატებოდა იგი წინიდან და პრეფიქსად იქცეოდა, თუ ემატებოდა ბოლოდან და სუფიქსად ან დაბოლოებად. სიტყვა, საგნის მანიშნებე-

ლი, მთელი კოლექტივის კუთვნილ მნიშვნელობას ითვისებდა, სა-
ხელდობრ კრებადობას (მრავლ. რიცხვი), ერთიანობა (კრებადი მნი-
შვნელობა) და ზოგად ანუ განყენებულ მნიშვნელობას.

აზროვნების საკითხთან შეიძლებოდა მისვლა და მიღიან კიდეც
დაინტერესებით სხვადასხვა სამეცნიერო დისკიპლინების თვალსედვით,
როგორც რამდენიმედ ენასთანაც; მაგრამ რამდენადაც წარმოშობის
საკითხი დგება, არ შეიძლება პირველ რიგში უფლება არ მიეცეს
ლინგვისტს ამ საგნის შესახებ იმსჯელოს, უფრო მეტი—აზროვნების
საკითხშიც კი მაგნის შესახებ იმსჯელოს, უფრო მეტი—აზროვნების
და მაშინაც კი, როცა აზროვნებაზე მსჯელობენ და ენის საკითხს კი
აფუჩეჩებენ. ლინგვისტის ჩამოშორება აზროვნებაზე მსჯელობისაგან
ესაა—ბურუუზიული ლინგვისტიკის მემკვიდრეობა, რომელიც წყვე-
ლა-კრულვასავით აწევს კველა ჩვენს წამოწყებას კვლევის ორგანიზა-
ციის საქმეშიც და სასწავლო საქმეშიც, და არა მხოლოდ ენისა.

ენის ძველი მოძღვრება სამართლიანად ამბობდა უარის აზროვ-
ნებაზე, როგორც თავის კომპეტენციის საგანზე, რადგანაც მეტყვე-
ლებას იგი აზროვნების გარეშე სწავლობდა. მას ჰქონდა ფონეტიკის
კანონები—ბგერითი მოვლენების, მაგრამ არ იყო სემანტიკის კანონე-
ბი—ამათუმ აზრის აღმოცენების კანონები, მეტყველების გააზრების
კანონები და შემდეგ მისი ნაწილების, მათ რიცხვში სიტყვების. სი-
ტყვათა მნიშვნელობებს არავითარი იდეოლოგიური დასაბუთება არ
მოეპოებოდა.

ენის მიფუჩეჩება აზროვნების წარმოშობის მსჯელობისას ბუნე-
ბრივი ფაქტია, თითქოს ორგანიზაციული დასკვნა, რომელიც მეტყვე-
ლების ძველი მოძღვრების ზოგადი. განწყობიდან მომდინარეობს და
რომელმაც მთელი რიგი უშედეგო ცდების შემდეგ თავის კომპეტენ-
ციის წრიდან გამორიცხა საერთოდ ენის წარმოშობის პრობლემა. თვით
მისი დაყენება საეციალისტთა წრეში არამეცნიერულად და
უსარგებლოდ ითვლებოდა, რაც თავის მხრივ ფორმალურ მეთოდ-
თანაა ორგანიულად დაკავშირებული. მეთოდი ენის სარკვევ აბიექტს
მხოლოდ ფორმალურ მხარეში ხედავდა, მულერობაში და არა იდეო-
ლოგიაში. ამასთან დაკავშირებით ლინგვისტიკაში არსებობს ტერმინი
გლოტოგონია, 'ენის შემოქმედება', 'ლოგოგონიაც' კი არა, ე. ი. 'გო-
ნებაშემოქმედება', სიტყვა—გონება ღმერთს იყო მინაბრებული უშუა-
ლოდ ან შუალობით (ბერძნულად ლოგოს—'სიტყვა-გონება') ან ფსიქო-
ლოგიას, მოძღვრებას სულზე, რასაც იგივე ღმერთი განაგებდა.

და მხოლოდ გაძარცული სიტყვა დარჩა ბუნების წილად, ენის
შემოქმედებაც და ენის ისტორიაც ბუნებრივ ან გრძნობათა ფაქტო-

რების ასეთი შეზღუდვით შეჩერებული იყო მხოლოდ ფონეტიკური (ბგერითი) გამომცდავნების და აკუსტიკური (სმენითი) აღქმის საზღვრებში არა მხოლოდ განსაკუთრებულ მოძღვრებაში, ფიზიოლოგიურად აღქმულ მელერობაში (ფონეტიკაში), არამედ იმავე ფონეტიკაზე აგებულ მორფოლოგიაში.

აზროვნების პრობლემასთან ენის ახალი მოძღვრება უყოყმანოდ მიდის, იძულებულია მივიდეს ყოველგვარი ფარისევლური სიფრთხილის გარეშე. ამას აიძულებს მას ენობრივი ფაქტების ურთიერთობების თვეის საწარმოო-საზოგადოებრივ ფესვებამდის ახსნის ძალა. პრობლემა აზროვნების შესახებ ერთ-ერთი უდიდესი, თუ არა ყველაზე დიდი, თეორიული პრობლემაა ქვეყანაზე და სწორედ იმიტომ, რომ მისი ფესვები თვეით მასში არაა და არც ბუნებაში, არამედ იმ მატერიალურ ბაზისში, რომელიც დიალექტიკური მატერიალიზმითაა დაღვენილი. და თუ უდაოა მარქსისტული ფილოსოფიის ეს მონაპოვარი, რაშიც არაეითარი ეჭვი არა აქვს დიალექტიკოს-მატერიალისტს, თუ მარქსიზმის ამ მონაპოვარმა სრულიად ჭალი სული ჩაბერა თვეით დიალექტიკას, გადააბრუნა იგი, იდეალისტებს რომ ყირამალა ედგათ, და ბაზისისა და ზედნაშენის ერთიანობა შექმნა რთული ურთიერთობებით; მაშინ აზროვნების პრობლემა ესაა — მარქსისტული მონაპოვარის თეორიულად გამაგრების პრობლემა, ისევე როგორც საკოლმეურნეო მშენებლობა არა მარტო სამეურნეო პრაქტიკული, არამედ უდიდესი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის კულტურული საქმეა. ესაა კოლექტიური ძერის საშუალება, მასების აზროვნების რევოლუციური შენაცვლების, ახალ აზროვნებაზე გადასვლის ანუ ნახტომის, რომელიც (ახალი აზროვნება) გაამაგრებს ენის ახალი მოძღვრების მიერ დაპყრობილ პოზიციებს და ხელს მოუმართავს შემდეგ სწრაფ წინსვლაში პრობლემის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

რატომაა აზროვნების პრობლემა — ერთ-ერთი უდიდესი, თუ არ ყველაზე დიდი თეორიული პრობლემა ქვეყანაზე?

იმიტომ, რომ მას უკავშირდება ნახტომი ცხოველთა ურდოდან, ცხოველთა ჯოგიდან (стадиность), გუნდიდან (стайность), თაბუნიდან (ройность) ადამიანთა საზოგადოებაში; ერთი სიტყვით, ყოველგვარი. მხეცურ-ზოოლოგიურად ორგანიზებული კოლექტივიდან, — ოთხფეხთა „ჯოგია“ ეს, ფრინველთა 'გუნდი', თუ ფუტკრის აპკაფრთიანი მწერების 'თაბუნი'.

მე განგებ ვხმარობ იშვიათ, ხელოვნურ რუსულ სიტყვას 'стайдистъ', რომელიც 'стая'-დანაა ნაწარმოები, და სრულიად მიუღებელ ფორმას 'ройностъ', რომ უფრო გააღვილდეს ენის ახალი მოძღვრე-

ბის ერთ-ერთი მეტად ელემენტარული დებულების აღთქმა, სახელ-დობრ: ენაში ჯერ შინაური ცხოველების სახელები გაჩნდა და შემ-დეგ გარეული ცხოველებისა; ამასთანავე ვუჩენებ თითოეულისათვის აშკარა და რუსულ ენაშიც შესამჩნევ ფაქტს, რომ, იმ დროს, როცა ადა-მიაითა კოლექტივის სახელწოდების ორი ნაირსახეობა გვაქვს - ს.ა ზო-გ ა დ ო ე ბ ა, ს ა ზ ი გ ა დ ო ე ბ რ ი გ ა ბ ა, — ცხოველთა კოლექტივის-თვის სახელწოდების ერთი ნაირსახეობის გამოძებნაც „გაძნელებუ-ლის; ამასთანავე უფრო ადვილია მისი გამოძებნა, როცა „გაწვრ-თნილ“ ოთხფეხებს და ფრინველებს ეხება საქმე, ადამიანის ამათუიმ-წარმოების მონაწილეებს, მაგრამ ძნელია, როცა თუნდაც ფუტკრებს-ეხება საქმე, რომელიც ადამიანის სამეურნეო ორგანიზაციაშია ჩათ-რებული. მაგრამ თავისი ზუნებრივ ფაქტორებზე დამყარებული ავტო-ნომიური წყობილებით.

მთავარი კი მაინც ისაა, რომ, როგორც მოშინაურ ებულ ცხოვე-ლებიდან გადაპქნინდათ სახელები გარეულ ზე, ისე მათ კოლექტივზეა-გადატანილი ადამიანთა საზოგადოებების სახელები, ადამიანთა სო-ციალურ-ეკონომიური პრიმიტიული ერთეულებისა; იმ ეპოქების საზო-გადოებები კი ტოტემური იყო, ტოტემების მიხედვით იწოდებოდენ; ტოტემები კი სრულიად სხვადასხვაა, მაგრამ სტადიების მიხედვით-სასტიკად გასაზღვრული მნიშვნელობისა იყვნენ, რიცხობრივადაც კი. ასე, მაგალითად, 'ყველა', 'ბევრი', და საკვანძო დიდი რიცხვები — 'სა-მი', 'ხუთი', 'ათი', 'ოცი', 'ასი' — პირველ რიგში ტოტემის მნიშვნე-ლობების წრისა არიან. თვით რუსული სიტყვის 'օნშია'-ს ფუ-ძე, სახელდობრ 'ობ', ისე როგორც მისი ორეული 'coob' ('содина', 'о-союз'), აგრეთვე ტოტემები იყვნენ; მასთან 'coob' ცხოველური ტო-ტემის სტადიაზე ნიშნავდა 'ცხენამდის' /'собака'-ს, 'ობ'-ი კი კომიუ-რი. სოფლმხედველობის სტადიაზე ნიშნავდა 'небо', აქიდან 'ობ' ნი-შნავს 'ზემო', 'ზედ', როგორც წინდებული კითხვაზე 'რაზე', მაგალი-თად, სახელებში 'ობ იგნე', 'ობ იავიკე' და 'წრეს', 'გარშემოს', ზმებ-ში, მაგალითად, 'ოხიდის' და სხვ. ცხოველების კოლექტივების სა-ხელწოდებებიც შედეგია ადამიანების კოლექტივების ტოტემური სა-ხელწოდებების მათზე გადატანისა; ასე, მაგალითად, 'стая' პტიც, სადაც sta+y ფუძეა სიტყვის sta+y-a, როგორც 'сотня', 'რომელიც-სოციალური ტერმინის მნიშვნელობით სრულიადაც არ ნიშნავს 'сто'-ს, რიცხვს 'сотня'-ს; პირიქით, 'сотня' (თავდაპირველი ფუძით soten) — ესაა სკვითური ტოტემი, skoten-ის გადანაშთი, საიდანაც გვეცილად sko-t, არა მარტო ნიშნავს 'стадо', 'скот', არამედ 'сокровище', 'деньги'. და ა. შ. ორეულით eka-t (→ გერმანული Schatz).

იმავე ჩამომავლობისაა *sta+do* (\leftarrow *sta+don*)^{*} განსაკუთრებული სოციალური დაჯგუფების გამოთქმით. ეს ტერმინები, მიუხედავად ამისა, არა მხოლოდ ადამიანების კოლექტივის წარმოებაზე მიგვითითებენ, რომელთან ერთად ისინი გაჩნდენ, ასე, მაგალითად, კერძოდ *sta+do* 'მეცხოველეობაზე', არამედ საწარმოო ურთიერთობებზეც; კერძოდ, 'სტა-დო', როგორც 'ციო-ტ', — ორივე სკვითური ტოტემის ნაირსახეობაა, — ერთი შერით, უდაოდ მოწმობენ 'მეცხოველეობას', და ამასთან დაკავშირებით მათ 'ნომადურ', 'მომთაბარე ცხოვრებას', რასაც ამოწმებს სკვითური ტოტემიდან ნაწარმოები რუსული ზმნების მთელი რიგი, მაგ., 'ცირტ+ა+ტ-სა'; მეორე მხრით, დასადგურებულ, პირდაპირ ქალაქურ ცხოვრებას მოწმობენ, რის გამოც, რომ არა ვთქვათ რა საცვლელი მეტალის ერთეულზე, 'ვილოთი', 'ცირტ', რომლებიც სკვითური ტოტემის ნაირსახეობებთან აღიან — *ckolot*, *skushta*, თვით სიტყვა 'სტადი' იმ ფუძეს წარმოადგენს, რომლიდანაც, როგორც საცხოვრებელი სადგომის სახელწოდებისაგან, სტადიური განვითარების სათანადო საფეხურზე, სათანადო წარმოებასთან დაკავშირებით, ქალაქური სადგომის სახელწოდება გამომუშავდა; ასე, მაგალითად, გერმ. *sta+d-t* 'ქალაქი', და შემდეგ *sta+t* (*star-t-i-დან) 'სახელმწიფო'. ჩვენ ახლა არ ვეხებით რთულ, მაგრამ სავსებით გარკვეულ ურთიერთობას, ერთი ბერით, ლათინურსა და რომანულენებთან ქალაქმშენებლობის ხაზით, მეორე მხრით — კავკასიასთან და მცირე აზიასთან ქალაქმშენებელ ქალ-ლერთთან კავშირის ხაზით, რომლის კულტი კერძოდ გერმანელებში ოღმოჩნდა. არ ვართულებთ საჭმეს ამ სიტყვის ნაირსახეობების ანალიზით იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ფუძე რომანულ ხალხთა შორის, როგორც ლათინებშიც, ნიშნავს 'ხნოვანობასაც', ე. ი. 'დროს', კერძოდ 'ზაფხულს', 'ვაპანაქებას', 'წელს', ვინაიდან თავდაპირველი მისი მნიშვნელობა 'ცა' და მისი მოწინააღმდეგე მნიშვნელობით 'მიწა', 'სადგომი' გამოყენებულია როგორც ფუძე ზმნისა 'სტოატი' (stoy-a+t, ლათ. *sta-a+re* და სხვ.), ლათ. *sta+t-us*, ფრანკული état 'მდგომარეობა' და ა. შ. გერმანულში კი მისი გადახმოვანებით („e“, „a“-ს მაგიერ: *ste+h-en*) და შეულვლებით C ელემენტთან — პრეტ. *stan-d* (იბ. სომ. v **skan-g kangneš* ში 'დავდგი', 'დავაყენე' და სხვ.) ინტერესს წარმოადგენს თავისი იდეოლოგიური დაკავშირებით ისუკ და ისევ 'ცასთან', 'მზესთან' ან სხვა ტოტემურ ნაცვალთან — *stal-t-o* ფუძეში 'die Ge-stal-t', მოჩვენება, 'აჩრდილი', 'სახე', 'ფიგურა'.

აზროვნების პრობლემის თუნდაც თეორიული გადაწყვეტა ესაა — სოციალური შემოქმედებითი გმირობა არა მეცნიერის, არამედ საზოგადოებრიობისა, სადაც იგი უყოფანოდ დგება და პრინციპიალუ-

რად წყდება ყოველგვარი სიფრთხილის. გარეშე, არც მარტო სიფრთხილე, არც მარტო მისი მოპირისპირე — რისკი, თავისი წანამძღვრების მომხსნელი შემოქმედებითი გმირობის გარანტიის არ წარმოადგენს, რევოლუციურ აქტს, არც თეორიაში, არც პრაქტიკაში, როგორადაც მას ვამჩნევთ არა ჭრეტით, არამედ აქტიურად, განვიცდით რა ჩვენ სოციალისტურ მშენებლობას, რომელიც თავისი შემოქმედების დაუნდობელი ბორბალით ანადგურებს გადანაშთი ყოფა-ცხოვრების ყველა კეთილგონიერ ცრულწმენას. ენის ახალი მოძღვრება აზროვნების პრობლემას დიალექტიკურად უდგება, რომელსაც უფრო რთულ საკითხად ყოფს, ნამდვილად ჩვენი უკვე წინდაწინ მზა ცრულწარმო-დებით გართულებულ საკითხად; ესაა საკითხი აღამიანის მეტყველების წარმოშობისა, ე. ი. აზროვნებისა + ენა და საკითხი, რომელიც ჩვენსა და აზროვნება-ენის აღმოცენებას შორის შუალებშია, აზროვნების ტექნიკის გვიანი შენაცვლებებისა; ამ საკითხს სრულიად ანგარიშს არ უწევდენ, ვინაიდან ამგვარი შენაცვლებები რამდენიმეა, რამდენიმე სტადია, თავის დინამიკაში მიმდინარე, ე. ი. შემოქმედებით მოძრაობაში, წარმოებაში მომხდარი ძირეული ძვრებისა და წარმოების მიხედვით ჩამოყალიბებული სოციალური ურთიერთობის მეოხებით. ენის ახალი მოძღვრება პირველ რიგში აზროვნების ტექნიკის ამ სტადიური შენაცვლებების საკითხს აყენებს; იგი დადებითი განმარტებით ხსნის იმ აზროვნებას, რომელიც წინუსწრებდა ლოგიკურს, ე. წ. წინა-ლოგიკურს, როგორც მთელ რიგ საფეხურებს კანონზომიერებაზე ჯერ მეტყველების, შემდეგ სიტყვების, როგორც სოციალური ლირებულებებისა; ისინი წარმონაშობია საწარმოო ურთიერთობებისა. თავის დიალექტიკური განვითარების პროცესში და გაფორმებულია სათანადო სტადიების აზროვნების მიერ; ამგვარადვეა აღმოცენებული მათი ურთიერთობანი, მაგავშრებლები, სამოსამსახურო ნაწილაკები. მეტყველების პალეონტოლოგიის მეოხებით, რომელმაც სიტყვათა მნიშვნელობების შენაცვლება გამოარკვია, ამ ზედნაშენ სოციალურ ლირებულებებისა, სტადიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ენის ახალი მოძღვრება აზროვნების წარმოშობის საკითხს არ ანცალკევებს გლოტოგონიდან (ენის შემოქმედებიდან) და, რაკი ძირი-

ენის ახალი მოძღვრება იაფეტური თეორიით უპირველესად ყოვლისა დამყარებულია აღმოცენების და განვითარების კანონზომიერებაზე ჯერ მეტყველების, შემდეგ სიტყვების, როგორც სოციალური ლირებულებებისა; ისინი წარმონაშობია საწარმოო ურთიერთობებისა. თავის დიალექტიკური განვითარების პროცესში და გაფორმებულია სათანადო სტადიების აზროვნების მიერ; ამგვარადვეა აღმოცენებული მათი ურთიერთობანი, მაგავშრებლები, სამოსამსახურო ნაწილაკები. მეტყველების პალეონტოლოგიის მეოხებით, რომელმაც სიტყვათა მნიშვნელობების შენაცვლება გამოარკვია, ამ ზედნაშენ სოციალურ ლირებულებებისა, სტადიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ენის ახალი მოძღვრება აზროვნების წარმოშობის საკითხს არ ანცალკევებს გლოტოგონიდან (ენის შემოქმედებიდან) და, რაკი ძირი-

თად საკითხად ენის წარმოშობის საკითხს აყენებს, ამითვე აზროვნების პრობლემასაც პირველი რიგის საკითხად თულის და მეტყველების ტექნიკას კი სამოსამსახურო აღგილს უთმობს, ხმიერია იგი თუ ხელისა..

ერთ-ერთი ძირითადი წანამძღვარი აზროვნების პრობლემის წერს სიერად დასაყენებლად, ესაა — ალიარება, უფრო მეტი — გაცნობიერება იმ კოლოსალური მნიშვნელობისა, რომელიც ხელის მეტყველებას აქვს, როგორც საშუალებას, მომწესრიგებელს წარმოებაში, ქადაგის, სოფლმხედველობაში და, ცხადია, ენაში საერთოდ.

ხელის ენა და მასთან ერთად ხელის აზროვნება დიდიხანია რაც შემჩნეულია. მაგრამ სად? როგორ? და რა შედეგებით თუნდაც მეცნიერებისათვის? ხელის ენა, და აზროვნებაც, შემჩნეულია შორეულ კოლონიურ ქვეყნებში, „წითელკანიანებში“, „შავკანიანებში“, „ყვითელ-სახიანებში“ და სხვ. წარმომადგენლებში არა კაცობრიობის, არამედ გაყიცხული სახის ქმნილებების, არც თუ ცხოველების, არც თუ ცხოველთა საზღვაოზე ყოფი ქმნილებებში, როგორაც დააჯვეუფა კოლონიური სამყარო მსწავლულმა ევროპამ, სახელდობრ ევროპის ბურუჟიულმა კლასმა; ამისათვის შექმნა მან ე. წ. ეთნოლოგია, სოციოლოგიის მეტად საჭირო სუროგატი, რომელიც ჩვენში აქამდის სათუთად შენახულია ეთნოგრაფიის სახელწოდებით, რაც ჩანს თუნდაც იმაში, რომ ეს მეცნიერება ველურებისა და სოფლის შესწავლისათვის არსებობს და სწორუფლებიანად პრაა მიჩნეული მოსახლეობის განათლებული ნაწილის, განსაკუთრებით ევროპის, შესწავლაში. ამიტომ იყო, რომ ხელის ენის საკითხს სერიოზულ ყურადღებას მხოლოდ სპეციალისტები აქცევდნენ და ზედნაშენ მოვლენებს სწავლობდენ არა წარმოებისა და საწარმოო ურთიერთობების მხრივ, მაშასადამე, არა კაცობრიობის, უფრო სწორად — საერთოკაცობრიობის მიღწევების მხრივ, მათი დიალექტიკურ-მატერიალისტური ანგარიშის გაწევისა და თუნდაც იმავე ხლართებში წარმოშობის (გენეზის) სწორი პროგნოზის მხრივ, არამედ ცხოველების მხრივ, ცხოველთა შესახებ მეცნიერების მხრივ, სახელდობრ ზოოლოგიის, ბიოლოგიისა და ფიზიოლოგიის მხრივაც.

მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენ სხვადასხვა გზით მივდივართ, როცა „ეთნოლოგები“, ანთროპოლოგები და ფილოსოფოსები ამ პრობლემის გადაწყვეტისა ამ მხრივ უდგებიან და მიამიტობამდის დასულ მდარე ფორმალურ-შედარებითი მეთოდს ხმარობენ. უნივერსალური არისტოტელე. იდამიანის ხასიათის შეცნებას ადგმიანის სახის. (Züge) ნაკვთებისა და ცხოველთა თავის სრული, თავისნებითი. შედარების გზით ფიქრობდა.

ხელის ენა ამ გარემოში ერთი ნაწილისთვის გასართობი კუ-
რიობია, მეორისთვის, უფრო გამჭრიას გონებისთვის — ზოგადი საუ-
ბრის მასალა და უპასუხისმგებლო შეხედულებათა გამოთქმისა პრი-
მიტულ აზროვნებაზე, ზოგიერთებისათვის — ზედმეტი საბუთი, რომ
„კოლონიური“ ხალხების ეს ჩამორჩენილი წარმომადგენლები, მარ-
თლაც, ცხოველებს ეთანაბრებიან. და ხელის ენის სათანადო უძეირ-
ფასესი მასალა სუსტად გროვდება, უფრო სწორედ, სპეციალისტები
სრულებით არ აგროვებენ და ენის მოძღვრებაში ისევე უარყოფენ
მას, როგორც საშენ მასალას, როგორც ქვედა მოსახლეობის ცოცხალ
ენებს, როგორც ჩაგრულ მცირე და არამცირე ხალხთა ცოცხალ ენებს
თვით ევროპაში. ხელის ენას უფრო მეტად უგულებელყოფენ.

ბუნებრივია, რომ ენის ქველი მეცნიერებისათვის ხელის ენა
სრულებით არც არსებობს. ამავე დროს კი, ხელის ენამ და ხელის
აზროვნებამ გლოტოგონურ (ენის შემოქმედების), განსაკუთრებით
კა ლოგოგონურ (აზრის შემოქმედების) პროცესში უზარმაზარი რო-
ლი შეასრულა; მისი არსებობის მრავალ ათასეული წლების განმავლო-
ბაში აზროვნებაში უზარმაზარი ძვრები მოხდა, მისი მეოხებით აზ-
როვნება ჩამოყალიბდა, ხელის ენის ოდენობრივი და თვისებრივი
ზრდის იმავე ხნის განმავლობაში კაცობრიობამ სტადიური განვითა-
რების არა ერთი საფეხური გაიარა. აღმაშფოთებელია საქმის ნამ-
დვილ მდგომარეობისაგან ასეთი გაშორება, მაგრამ სავსებით ბუნე-
ბრივია იგი ბურუუზიული მეცნიერებისათვის, როცა კოლონიურ ხალ-
ხთა შორის თვით ფაქტი ხელის ენისა და ხელის აზროვნებისა მათ
მიერ გაგებულია, როგორც საბუთი სათანადო კოლექტივების განვი-
თარებისა, პირველყოფილ საფეხურზე ყოფნისა, ან როგორც გვიან-
უაჩენილი შემთხვევითი ნამატი, რომელიც აღგილ-აღგილ აღმოცენ-
და ხმიერ ენაზე დამატებული უსტებისაგან და, მაშასადამე, რო-
გორც ისტორიულად ყოფით შეუპირობებული. ამავე დროს კი ხელის
ენა თავისთავად მსოფლიო ხმარებაში მყოფი ხაზობრივი მეტყველე-
ბის სტანდარტირებული გვიანი სახეა, რომელმაც ბრძოლით დაუთმო
აღგილი ხმიერ ენას მეტად გვიან, ქალთა მატრიარქალური ორგანი-
ზაციის ბრძოლის პროცესში, ესაა ქალური ენა; და მხოლოდ თანდა-
თანობით იქნა მომწყვედეული ცალკე რაიონებში მათზე მოლაპარაკე
სოციალურ-ეკონომიური ერთეულების მებრძოლ მხარეთა ანტაგონი-
ზმის შედეგად. ამგვარ ახალ იზოლირებულ რაიონებში არა მარტო
ეს. წ. პირველყოფილი აზროვნების მქონე ხალხებია, — აფრიკაში, ამერ-
იკაში და ისტორიანიაში. თითოეულ რაიონში ეს „აღგილი გენეტიკუ-

რაღაა (წარმოშობით) დაკავშირებული იმავე კოლექტივში ამათუიმ ხარისხით არსებულ წინანდელ ყოფასთან.

ახლახან გავიგეთ, დაკავშირებით კინეტიკური ანუ ხაზობრივი მეტყველების საკითხის გაშუქებასთან ენის შემოქმედების პროცესის. მიმართ ახალი მოძღვრების ზოგად განწყობაში, რომ ხელის ენა ხმარებაშია კავკასიაში — ყაზახის რაიონის სომხებში. ეს-ეს არის მიღებულია პირველი დაკვირვების მასალები, მათ შორის ნაწილი ფოტოგრაფიული სურათებით. დაკვირვება მოხდენილია ტფილისში, სადაც ექსპედიციის მზადების პროცესში გაშორებული არის მეტყველება. აქამდის არსებობს არა მხოლოდ ყაზახის რაიონის სომხური დათურქული მოსახლეობის ქალებს შორის, არამედ ახალციხის რაიონშიც, იქვე ქართველ ქალებშიც.

ორივე ჰუნძტეში შინი ხმარება ყოფა-ცხოვრებასთანაა დაკავშირებული, როგორც ამერიკაში და ავსტრალიაში, და ამით წესრიგდება ქალის დამოკიდებულება ქმრის ნათესავებთან: „კოლონიურ“ ქვეუნებში ცოლი, გარდაცვალებული ქმრის კულტთან დაკავშირებით, მოვალეა თვეობით არ იღაპარაკოს; ჩვენში კი, კავკასიაში, რძალი დედამთილს მთელი წლების განმავლობაში მხოლოდ ხელის ენით ელაპარაკება. თავისთავად ცხადია, რომ ახლა ხელის ენას აზროვნების გავლენით, რომელიც დაკავშირებულია ხმიერ მეტყველებასთან, თავისი დანაკეცები აქვს. ამას გარდა, გამოირკვა, რომ ხელის ენაშიცაა შესამჩნევი დიალექტური გაშორება. მაგრამ ჯერჯერობით ტფილისში მოხდენილი დაკვირვებების მიხედვით, ხელის მეტყველება ამართლებს ენის ახალი მოძღვრების მიერ პალეონტოლოგიურად მიღებულ კოსმიურ სოფლმხედველობას სამი ცის შესახებ, ზემო — 'მზის', ქვემო — 'მიწის' და მიწის ქვეშა — 'წყლის'. ამასთანავე განსაკუთრებით აშკარად ჩნდება ხელის სიგნალიზაცია 'მზის' და 'სავსე მოვარის', როგორც ორი მოპირდაპირის, რომელნიც ერთი სახიდანაა გამოსული ხელების ერთნაირად გაშვერის შემწეობით ზემო, ე. ი. ჩვენი 'ცისქენ' მლოცვავი ორანტის პოზით, მაგრამ მიმიკური განსხვავებით — ლიმილით, 'მზისთვის' და მასთან დაკავშირებით 'სიცოცხლის', 'სითბოს', 'სიხარულის', 'სიცილის', 'ლიმილისთვის' და სერიოზული სახით — 'მთვარისთვის' და მასთან ერთად 'სიკვდილის', 'სიცივის', 'მწუხარებისთვის'; ერთი სიტყვით ყველაფერი ისეა, როგორც ეს იაფეტური თეორიის მიხედვით ენის ახალმა მოძღვრებამ დაადგინა. ამგვარად, შესაძლებელია ხელის მეტყველების პალეონტოლოგიური ანალიზი მოვახდინოთ აზროვნების ძვრების აღმოსაჩენად, რაც შეპირობებულია მატერიალური ბაზის. ძვრებით. მაგრამ ახლა არსებული მასალა, ხაზობრივი მეტყვე-

ლების ეს სტანდარტირებული სახე, რომელიც ხმიერ მეტყველებას უსწრებდა წინ, საფუძველს გვაძლევს დავადასტუროთ აფრიკულ, აფ-სტრალიურ-ამერიკული „კოლონიური“ რაიონების ხელის მეტყველე-ბის, რომელიც ხშირად ცხოველურ- და მცენარეულ-ტოტემურია, და კავკასიის კოსმოურ-ასტრალურ-ტოტემური ხელის ენის დაახლო-ვება და განშორება.

ყაზახის ექსპედიციის ხელმძღვანელის ი. მარრის ანკეტების საფუ-ფუძველზე მოსამზადებელი მუშაობის მიხედვით გამოირკვა ხელის ენის საგრძნობი გავრცელება. სომხეთის რესპუბლიკიდან მიღებულია ათე-ული სოფლის სია, სადაც ხელის მეტყველება გავრცელებული, სომ-ხეთის, აზერბაიჯანულ-თურქულ, აისორულ, ბერძნულ და, განსაკუ-თრებით, სომხურ მოსახლეობაში.

საქართველოში ახალციხის რაიონში მოსახლეობის ქართულ და სომხურ ნაწილთან ერთად ხელის ენას ხმარობს თურქული მოსახლეო-ბაც. თურქულ სოფელში ამ 30 ჭლის წინათ მოსახლეობის 75% -ის ხმა-რებაში იყო ხელის მეტყველება. მაშინ რძალი ხელის ენით 10—15 წელ-ლაპარაკობდა, ახლა მხოლოდ ერთ ან ორ წელს ნიშნობის შემდეგ განსაკუთრებით დახელოვნებული მოსაუბრენი ხელის ენაზე აზერბაი-ჯანის სპარსულ ნაწილში მოიპოვდიან. უკრაინის სამეცნიერო აკადე-მიის წევრმა ალმოსავლეთმცოდნებ კრიმსკიმ გამოიქვეყნა დოკუმენ-ტი, რომელიც მოწმობს, რომ სპარსეთში შაპის კარჩე მოსამსახურე-ნი მოვალენი იყვნენ მხოლოდ ხელის ენით ელაპარაკათ. უკრაინის იმავე აკადემიკოსმა (ვსარგებლობ მისი მოგზაურობის ხელნაწერი-დღიურით) დაკვირვება მოახდინა სირიის არაბების ხელის ენაზე; მის შეკითხვაზე თუ რა არის ეს, არაბმა უპასუხა: *min ჭარაშა n-nisay, ე. ი. 'ჭალთა სიგნალებიდანა'*. და ახლა მე არ ვაყენებ კით-ხვას: შუმერთა ლურსმულ წარწერებში არსებულ *eme-sal, eme-gal, eme-tenà, eme-ku*, განსაკუთრებული საკულტო ენა, უნდა გავიგოთ მხოლოდ როგორც 'დიალი' (*gal*) ენა, როცა *gal-იც, 'sal-იც* და *ku-ც*: შეიძლება გაგებულ იქნას როგორც 'ხელი', და 'ჭალი', და, მაშიადა-მე, როგორც კოსმოური სტიქია ('წყალი—ზღვა', 'მიწა', 'ცა'), თუ არა. სავსებით ცხადია, რომ ლექსიკონური მასალები: *emesal, eme-gal, eme-tenà* გადანაშთია უძველეს საკულტო 'ჭალური' (*sal, gal*). ანუ 'ხელის' ენისა და მაშინაც კი, როცა ისინი წერაში განსაკუთრებული ყურადღებითაა დაფიქსირებული. ცალქე იქნება ნაჩენები, თუ შუმე-რული ენის გრაფიკის სპეციალისტები, ფორმალისტები, როგორ ვერ გაერკვნენ თვით სიტყვების ძირითად მნიშვნელობებშიც კი:

ხმიერი შეტყველების ყველა უპირატესობა ხაზობრივი ენის მი-მართ, მასი სიმდიდრე და ნიშანდობლიობა, აზროვნების სიმდიდრესა-

და სიზუსტესთან დაკავშირებული,—გვიანი მინაღწევია, როცა იგი, ხმიერი მეტყველება, გაბატონდა და ხელის ენა გამოდევნა არა მხოლოდ როგორც წარმოების იარაღი, არამედ როგორც ბრძოლის იარაღიც; ამ ბრძოლაში ის, ხმიერი მეტყველება, განვითარდა და თავისი ტექნიკური შესაძლებლობით გადააჭარბა რა ხელის მეტყველებას, გვიან, მეტისმეტად გვიან, საბასო ენად გადაიქცა, მაგრამ ისევ მაინც გაბატონებული ფენის ენად. იქამდის ხაზობრივი ენა, ხელის ენა, გაუზომელად მდიდარი და ზუსტი იყო და ხმიერი მეტყველების აღმოცენების შედეგადაც ერთადერთი საბასო ენა იყო; იგი ყველა სასიცოცხლო მოთხოვნილებას აქმაყოფილებდა, ტექნიკის მხრივ აზროვნების ჩამოყალიბების მოთხოვნილებასაც და მის (აზროვნების) დაგროვებისასაც იმ საზღვრებში, რომელშიც აზროვნების ხაზობრივი, ხელის მეტყველების იარაღის და ხერხის არსებობისას შესაძლებლობა ჰქონდა, გარემოცვის შეგნებით, გამოეყენებინა არა ხელები, არამედ ერთი მარჯვენა ხელი, როგორც თავისი სილული ცენტრი, აზროვნების ცენტრი და ცნებათა დარღმიც მათი გამომჟღავნების ხერხად იყენებდა წარმოდგენებსა და არა ცნებებს.

მატერიალურ ბაზისში, წარმოებაში და საწარმოო ურთიერთობებში მომხდარი ძერების ანგარიშგაუწევლად, აგრეთვე სათანადო აზროვნების ზრდისა და განვითარების...

რომელი აზროვნების? აზროვნებას ხომ შენაცვლებები ჰქონდა და ისიც არა ერთი, ვიდრე ფორმალურ-ლოგიკური აზროვნება დამყარდებოდა. თითოეულ შენაცვლებას თავისი ტექნიკა აქვს. თითოეული შენაცვლება თავისი ტექნიკით აზროვნებაში დაგროვებას იწვევს. და, ცხადია, ამის ანგარიშის გაწევის გარეშე მთელი ამ რეალობით, რომელიც დიალექტიკურად და მატერიალისტურადა დასაბუთებული, ენის შესახებ ახალი მოძღვრების ყველა დებულება და მტკიცება უაზრობად მოგვეჩენება. ერთი მაგალითი: რუსებს 'ვემპა' საერთო აქვთ სპარსელებთან, საერთოდ ერანელებთან და არა ევროპასთან: გერმანელებთან და რომანულ ხალხთან— არაფერია საერთო, გერმ. die Erde 'მიწა' და ფრანგ. la terre (ლათინ. terra), ბერძნულად კი უ უ დორ. გა (კომიტ. γαῖα) ν da (და ← dal). ესაა კარჩაკეტილი სამყაროსთვის შეზღუდული დრო ერთი, ორი ათეული ათასეული წლის ხანგრძლივობით, კაცობრიობა კი იქამდის, მრავალი ასეულ-ათასეული წლის განმავლობაში ქმედობდა, სამ მილიონამდე წლის განმავლობაში. და ყველა ამ ფაქტის ანგარიშის გაწევით აშკარავდება, როგორც ურყევი დებულება, რომ სიტყვა 'ვემპა' რუსებს საერთო აქვთ ცენტრალურ და დასავლეთ ევროპასთან, მაგრამ მისი სხვადასხვა კანონზომიერი გამოყენებით

იგი ნიშნავდა 'ცას', პირველად 'ორს' და შემდეგ 'სამ ცას'; ასე, მაგალითად, გერმ. 'მიწა' სახელდობრ zemel-e, ნიშნავს 'ცას', ჩვენს 'ცას', იგი გამოითქმის 'der Himmel', ფრანგულად კი (სასაცილოა ამის თქმა) 'ძირი' (подаюша) გამოითქმის la semelle. მაგრამ სასაცილოდ ავიზდებთ ჩვენს თავსვე, ვიდრე არ შევიგნებთ, რომ აქ საქმე ისიც კი არაა, რომ—'ძირი' მოლაპარაკის 'ჭეშა', თუმცა სტადიური განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ასეთი გავება არსებობდა, არამედ ის, რომ ფეხსაცმლისა და მისი ნაწილების სახელწოდება—'ფეხებიდანაა' ნაწარმოები, 'ფეხები' კი, როგორც სხეულის ნაწილები, 'ჩექმაც' და მისი ყველა ნაწილი—საწარმოო-საკულტო ოქრომინებია; მათ თავისი სახელწოდება ფეხებიდან მიიღეს და ფეხებთან ერთად ფუნქციის მიხედვით, როგორც მიკროსმის, აღამიანის, კოლექტური აღამიანის, ე. ი. სოციალურ-ეკონომიკური ერთეულის ნაწილების, —კოსმოსის, სამყაროს სახელწოდებაა; ამასთან, დაკავშირება ბაზისიდან ზეღაპარის გზით ხდებოდა, კოლექტივიდან ცისკენ, თვით ზეღაპარის კი კოსმოსიდან ნაწილებისკენ მიემართებოდა და ყველაფერი ეს, რაც უკვე ახსნილი და განმარტებულია, არა მარტო ქნობრივი, საბუთებით მტკიცდება, არამედ სათანადო ეპოქების მატერიალურ-კულტურული დოკუმენტებითაც, მათ რიცხვში უძველეს საფლავებში ნაპოვნი თიხის ჩექმით. იხსნება ისიც, რომ ბერძნულ 'მიწა' ს თითქოს არაფერი აქვს საერთო, ან ყოველ შემთხვევაში ცოტა აქვს საერთო, არა მხოლოდ რუსულ 'земля'-სთან, არამედ ლათინ. terra-სთან და ა. შ., მაგრამ terra, წარმოებული ter-sa-დან, ბერძნულში მაინც არის 'მიწიერის' მნიშვნელობით, უფრო ნიშანდობლივად—ზეღასართავის სახით 'ხმელეთიდან' - ჯერ-ჯა-ა.

იხსნება ისიც, თუ რათაა ასეთივე გაშორება ძირითადი კოსმიური. სხეულის 'მიწის' სახელწოდებაში ქართველებსა მათი mi ta-ti და მათ უახლოეს მონათესავე მეგრელებს შორის მათი di-qa-ti, თუმცა di-qa გამოთქმით ში-qa საქართველოში მაინც არსებობს თიხას მნიშვნელობით, მაგრამ საქმე ეს არაა: მეგრ. di-qa სიტყვის გვიანი სახეა; თავდაპირველად იგი გამოითქმოდა *du-qa და ამასთან ნიშნავდა არა მარტო 'მიწა-მყარს', არამედ 'ცა-მყარსაც', 'ზემო მზიურ ცასაც' და 'ცის' მიხედვით 'ზეგასაც', 'ცეცხლსაც', რაც სათანადო წარმოებული სიტყვებით მტკიცდება; ასე, ქართ., მაგ., du-ʃ-ə-s 'დუღ'. მაგრამ საქმე უფრო რთულდება; როცა სიტყვები იპოსტაზირდებოდა და ფეტიზად იქცევიდა ხოლმე, 'ცამ' ტოტემმა 'სულის' მნიშვნელობა მიიღო.

ამაზე არ შეჩერებულა საქმე: სტადიური განვითარების უფრო გვიან საფეხურზე სიტყვები არა მხოლოდ იპოსტაზირდებოდა, სახეცა

ილებდა, და როცა სოციალური წყობილების საგვარეულო ფორმა აღმოცენდა, წინაპრებიც და მათთანვე გარდაცვალებულებიც კულტის საცნებად იქცნენ, მათი აჩრდილები – სახეებად (სათანადო უძველესი საფეხურის ენებზე 'აჩრდილი' და 'სახე' ერთდაიმიავე სიტყვით აღნიშნება: ქართ. land). მაგრამ ამაზე არ შეჩერდა საქმე: იპოსტაზირებული სიტყვები გაბუნებრივდენ, ცხოველებად აღიქმებოდენ, 'აჩრდილები – სულები' შეცვალა 'სხეულმა' – ნეშთმა' და 'სულმა' (სტადიური განვითარების გვიანი საფეხურის ენებზე 'სხეული', 'გვამი', 'ნეშთი' და მისი მოპირისპირე 'სული' ერთი სიტყვით აღინიშნება; სომ. anden 'სხეული' და 'სული'). ამაზედაც არ შეჩერდა საქმე; 'სული' შემდეგ ტექნოლოგიურად იქნა აღქმული, როგორც 'ორთქლი', 'კვამლი' და ამიტომ ქართ. a-ds+ga – 'ადულა', სომ. էն-գ ნიშნავს 'კვამლს', არაბებში სემიტთა შორის du-q-a-n 'ორთქლი', 'კვამლი' და ა. შ. (ამასთან ლექსიკონები ერთგვარი სიფრონებით ხსნიან, რომ ესაა კვამლი' 'ცეცხლიდან').

არაა არცერთი აზრი, არცერთი სიტყვა ხალხში, რომელსაც არ გაევლოს ცვალებადი წარმოების და მასთან ერთად ჩამოყალიბებული სათანადო ცვალებად საწარმოო ურთიერთობებისაგან გამოწვეულ შეცნებაში.

იცვლებიან არა მწოლოდ აზროვნების მოვლენები, როგორიცაა ენის მოვლენები, მათი ფუნქცია და შინაარსი, აგრეთვე მათი მნიშვნელობა, არამედ მისი კანონზომიერებებიც და ტექნიკაც. არაა არცერთი წარმოდგენა, არცერთი ცნება, ისე როგორც არაა არცერთი სიტყვა, რომელიც მეტყველების აღმოცენების, შედეგნისა და შემდეგი განვითარების ეტაპზე ცნობიერებაში შესულიყოს ისე, რომ საწარმოო მნიშვნელობის ფუნქცია არ გაევლოს, თუნდაც სრულიად განყენებული და ზოგადი თავდაპირველი მაგიური მნიშვნელობა მიეღოს.

არაა არა თუ სიტყვა, არამედ არცერთი ენობრივი მოვლენა, თუნდაც მეტყველების აგებულებიდან აღებული (მორფოლოგია, სინტაქსი), ან მისი მატერიალური გამოსახულებიდან, გრაფიკაში, კინეტიკურ ხაზში ან ქლერაში, ფონეტიკაში, არაა ხმიერი მეტყველების არცერთი ნაწილაკი, რომელიც აღმოცენების დროს გააზრებული არა ყოფილიყოს, აზროვნებამდის რაიმე ენობრივი ფუნქცია მიეღოს, ეტარებინოს აღმოცენებასთან და გაფორმებასთან დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებულობა, ამავალი ბუნების და გრძნობის მოვლენებთან, როგორც ფაქტორებთან.

სათანადოდვე – რამდენადაც საგნების გაგება ენობრივი მონაცემების ანალიზით აშეარვდება, რომელებიც არარყალურია აზოვ-

ნების ანგარიშის გაუწევლად; — სინამდვილე გამომჟღავნებას პოულობს მეტყველებაში არა. თავის ბუნებრივ მატერიალური მხარით, კონკრეტულად — მატერიალური კულტურის საგნები, წარმოების პასური მონაწილენი არიან ისინი თუ აქტიური, ტრანსპორტის ცხოველები. თუ სამუშაო ძალა, მულავნდებიან არა მათი ფიზიკურ ან ბიოლოგიურ თვისებებთან, როგორც ფაქტორებთან, ასულ განსაკუთრებულებებით, არამედ თავისი საწარმოო ან საზოგადოებრივი ფუნქციით აზროვნების აღქმაში; უკანასკნელი აგრეთვე ცვალებადია და თავის ქვერებში მიემართება არა მატერიალისტური აღქმიდან იდეალისტურისკენ, და არც იდეალისტური აღქმიდან მატერიალისტურისკენ, არამედ დაუნაწევრებულ მატერიალისტურ-იდეალისტურიდან დანაწევრებულ განიშანდობლივებულ მატერიალისტურისკენ, საწარმოო-იდეოლოგიურისკენ და ტექნიკურისკენ. გზა უკვე გავლილია, მაგრამ არა უშუალოდ წარმოებისკენ და მისი ტექნიკისკენ, არამედ უპირვე-ლესად ყოვლისა საზოგადოებრიობისკენ, სოციალური მოვლენების და მათთან ერთად მათი სახელების გაბუნებრივების გზით, როგორც სულიერ ცხოველების, და გაყოფით ორ მოპირდაპირე სამყაროდ, ზედნაშენში — გონება და სილამაზე, მეცნიერება იდეოლოგიური ტექ-ნიკით და ხელოვნება ფორმალური ტექნიკით. ბერძნული ხელოვნება, არა მთლიანად, არამედ დასანახი, აქამდის ცოცხლობს და კიდევ ტიდხანს იცოცხლებს, ვინაიდან მასში განხორციელებულია არა შხო-ლოდ ხელოვნება, არამედ მეცნიერებაც, მასში სიმშვენიერებაა და გონებაც, მაგრამ აზროვნების ტექნიკით — გაშლილი ხაზობრივი ხელის ენის ამოწურით სტანდარტიზირებული გონება. ჩვენი სრული მილ-წევა ესაა — პროლეტარიატის მიერ დაკვეთილი, მეცნიერებისა და მისი იდეოლოგიური ტექნიკის გაერთიანება ხელოვნებესა და მის ფორმალურ ტექნიკასთან, აგრეთვე გონებისა და სიმშვენიერის ერთიანობა, მაგრამ პროლეტარული აზროვნების გონების — დიალექტიკურ-მატერიალისტური აზროვნების. დიალექტიკურ-მატერიალისტურ აზ-როვნებას შემცვლელი არ ყავს, მაგრამ არც დაკვეტილია იგი; შასში აურაცხელი შესაძლებლობანია ძვრებისა სილრმით და სიგანით; სიცრტე და დრო; დიალექტიკურ-მატერიალისტურ აზროვნებამ გადააბიჯა ხაზობრივ მეტყველებას; ძლიერ ეტევა ხმიერ შეტყველებაში და; აბი-ჯებს რა მასაც, ემზადება ხელისა და ხმიერი ენის საბოლოო მილ-წევით ახალი და ერთიანი ენის გამოქანდაკებისა და აგებისათვის, სადაც უმაღლესი მშვენიერება გონების უმაღლეს განვითარებას შეუერთდება. სად? ამხანაგებო; მხოლოდ კომუნისტურ უკლასო სა-ზოგადოებაში.

აზროვნება თავდაპირველ მდგომარეობაში კოლექტიური გაცნობიერებაა კოლექტიური წარმოებისა კოლექტიური იარაღით და საწარმოო ურთიერთობებით, ენა—კოლექტიური გამომულავნებაა კოლექტიური გაცნობიერებისა გაფორმებაში და მოცულობაში აზროვნების ტექნიკისაგან და სოფლმხედველობისაგან დამოკიდებით. იძულებული ვართ ტერმინს „გაცნობიერებას“ დავაწვეთ, რომელიც ჯერჯერობით არაა აკადემიურ ლექსიკონებში; ამავე დროს კი სწორედ გაცნობიერებაა ის წყალგამყოფი მომენტი, — მეცნიერნი ლათინურად იტყოდენ *discrimen*, — ცხოველებსა და ადამიანებს შორის.

გაცნობიერება ესაა—თავდაპირველი სახე სამეცნიერო კვლევისა, პირველი გზისა, პირველი მეთოდისა, ჩანასახი, რომლისგანაც გამოიყო და განვითარდა მეცნიერება ფორმალური ლოგიკით, უღონო ცხოველთა სამყაროდან ადამიანთა სამყაროში ნახტომის პრობლების წინაშე, და რომელსაც დიალექტიკურ-მატერიალისტური აზროვნების შემცველი ახალი მეცნიერება ცვლის.

ლინგვისტს ისლა დარჩენია ამ პრობლემასთან დაკავშირებულ დროის მომაკვეთთან მივიდეს იმით, რა შესაძლებლობასაც მეტყველების ჰალეონტოლოგია (იაფეტური თეორიის მიხედვით) ახლაც იძლევა— ვამტკიცოთ (ყურადღების შეჩერებით ისევ და ისევ აზროვნების გავნითარებაზე) კარდინალური შენაცვლებები მასში ფორმალურ-ლოგიკურ აზროვნებასა და ჩვენი ცხოველური სახის გაადამიანების დაწყებას შორის და, მაშასადამე, ამ შემთხვევაში გაადამიანების აქტიდან გამოსვლით, რომლის პროცესი თავდაპირველი სტადიის იქით ახლა, მეტყველების პალეონტოლოგიის მეოხებით, უკვე განტვირთულია და საფუძველი აქვს მომავალში კიდევ უფრო განიტვირთოს. თუმცა, ამხანაგებო, ჩვენს დიალექტიკურ-მატერიალისტური მიდგომის დროს, რომელიც მამოძრავებელ ძალებს ემყარება, და არა სადგომებს, დასაშვებია თუ არა პროცესის დასაწყისი რაიმე მკვდარ პუნქტში ვეძიოთ, რომელიც (პროცესი) იზრდება და ვითარდება მხოლოდ ბრძოლაში, ე. ი. ისევ და ისევ მამოძრავებელი ძალების ურთიერთ მოქმედებაში? არის თუ არა საჭირო პირველ საწყისის ძებნა?

შემეცნების თეორიის მიხედვით საკითხი დგება გნოსეოლოგის საწყისების შესახებ, ე. ი. შეცნების სწავლის შესახებ, ყაზაცისა, მაშასადამე, არა გაცნობიერების შესახებ, არც მკვეთრად გამოთქმული „შემეცნების“ შესახებ, რადგანაც ბერძ. ყაზაცის ბერძნებში პასიური მნიშვნელობა ჰქონდა, მხოლოდ მონაწილე-მომქმედის მნიშვნელობა (პასიური, როგორც პოლიტიკაშიც პარტიის „თანამგზავრს, მეურნეობაში კი—ცხენს, ძალს, მონა-ქალს, მონა-კაცაცა). პირ-

დაპირ „ვნებითიც“, „შეცნობილი ყოფნა“, ‚ცნობილყოფნა‘, და არა მხოლოდ აქტიური, როგორიცაა რუსული სიტყვა „შემეცნება“, „შეცნობა“ („познание“, „познавание“).

მაგრამ საღაა შემეცნების საწყისები? მას საბერძნეთში პოულობენ და ამიტომ ევროპაშიც იგულვება. ინდოეთშილა? ჩინეთში? ჩინები აღმოსავლეთმცოდნენი. ცდილობდენ ინდოეთის ფილოსოფია „ევროპულთან“ დაეკავშირებინათ, ჩინეთის ფილოსოფია კი სპეციალურად ბერძნულთან, ე. ი. ისევ ევროპულთან. მიუხედავად ამისა, საერთოდ, აღმოსავლეთი აქტიდის ეგზოტიკა, უცხო სამყაროდაა მიჩნეული. იმიტომ ხომ არა, რომ ჩინებს სახლშივე, ევროპაში, შემოქმედების პროცესში შესვლა გვეუცხოება, რადგანაც მასში შეურიგებელი კონტრასტებია, თუნდაც ქალური (დედრობითი სქესის) ელადას, აგრეოვე დედრობითი სქესის მრავალი ათინის მყოლ საბერძნეთსა (Афини, Αθηναι, 'Αθηνῶν) და საშუალო (საშუალო სქესის) Latium-ს შორის, საღაც oppidum 'ქალაქი' საშუალო სქესისაა, მაგრამ საჭახტო ქალაქი Roma, 'რომი' მხოლობითი რიცხვში დედრობითი სქესისაა, როგორც urbs-ის 'ქალაქი' მასთან მიყენებით. Roma დაკავშირებულია არა სიბრძნის ღმერთ-ქალთან მინერვასთან, როგორც ათინა (Афины) ათინასთან (Αφινα), არამედ ძუ-მეგელთან, აგრეოვე ძმებთან, რომულთან და რემთან.

დავანებოთ თავი ინდოეთსა და ჩინეთს, როგორც მათ თავს ანებებს, ე. ი. არსებითად ჩქმალავს, ბურუუზიული ევროპა ბურუუზიულ ამერიკასთან ერთად, როცა თეორიულ პრობლემებს აგებენ მსოფლიო მასშტაბით, და წყვეტენ მათ კარჩაკეტილი ევროპის ან მისი მოცილე კარჩაკეტილი ამერიკის საფუძველზე. რათა? იმიტომ, რომ ამ ძველ სამყაროში პრაქტიკულად ასე აგებენ „მსოფლიო“ მეურნეობას.

იურიდიული და მათემატიკური აზროვნების მქონე ქანკუნებილა, მესოპოტამია და მცირე აზია ხეთური სამყაროთი?

განა აქ ფილოსოფიის გარეშე რამე კეთდებოდა? ამავე დროს კი ჩვენში ჯერ კიდევ გასულ წელში (შეიძლება, ახლაც სასარგებლო იყოს) საჭირო იყო სამეცნიერო მუშაკებისათვის და საერთოდ ფილოსოფიის ცნობისმოყვარებისათვის. შესწავლა იმისა, რომ „საბერძნეთის პირველი ფილოსოფოსები, მაგ., თალესი, ანაქსიმანდრი და ანაქსიმენი ყოველივე არსებულის პირველფუძის ძებნის დროს უკველად აყენებდენ ზოგიერთ თეორიულ-შემეცნებით საკითხებს“¹⁾). აქ „ჩანასახში“ გნოსეოლოგიური პრობლემის დაყენებაა შემჩნეული.

¹⁾ Карев. Теория познания. Бюллетень заочно-консультационного отделения ИКП, 19 төбერз. 1930 № 3, გვ. 34.

და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დადგეს საკითხი უშუალო აღ-
ქმისა და ყველა არსებულის ჭეშმარიტი ფუძის ცოდნის, ჭეშმარიტი
თავდაპირველი სამყაროს შორის დამოკიდებულების შესახებ.

მაგრამ სწორედ ენამ მოგვცა გადამწყვეტი პასუხი, თუ საიდან
გაჩნდა ეს დამოკიდებულება საბერძნეთის პირველი ფილოსოფოსების.
წარმოდგენით, რომელიც ჩანასახად იყო მიჩნეული. დასახელებული
ფილოსოფოსების მტკიცებებში ბერძნული მათი ეპოქის გაფორმებაა,
მხოლოდ. მათი „ჩინასახი“ ფილოსოფია უცხო ქვეყნებიდან მოტანილს
რასმე კი არ ებჯინებოდა, არამედ საყოველთაო მითოლოგიას, კე-
რძოდ სამყაროს შექმნის მითს. და მეტყველების პალეონტოლოგია შესა-
ძლებლობას იძლევა სრულიად ნიშანდობლივად დავათარილოთ თა-
ლესის, ანაქსიმანდრის და ანაქსიმენის გნოსეოლოგია. იგი ეკუთვნის
აზროვნების განვითარების იმ სტადიას, როცა მასში უკვე იყო გამო-
მუშავებული ორი კოსმიური სტიქიის დიფერენცირებულად აღქმის
უნარი, 'წყლის' და 'სინათლის', ორი 'ცის', 'წყლიანის' და 'მზიანის',
ერთი სიბრტყის ორი მხარის — 'ზემო' გარეთა, წყლიანი და 'ქვემო'
შიგნითა, მზიანი, სოციალურად — ერთი სამყაროს ორი მეტრძოლი
ჯგუფისა.

თალესი 'წყალში' ხედავს ერთიან პირველსაწყისს (ესაა 'ცა' გარე-
თა, შემდეგ მიწისქვეშა). ანაქსიმანდრი კი პირველსაწყისს უსასრუ-
ლობაში წედავდა, ე. ი. 'დროში', მაშასადამე, მოძრავ 'ცაში', 'მზიან
ცაში', მაშასადამე, 'ცეცხლ-ცაში' (ესაა პირველად 'ცა' შიგნითა, შემ-
დეგ ზემო).

ჰერაკლიტე პირველსაწყისს პირდაპირ 'წყლის' მოპირისპირე
ცეცხლში ხედავდა, მაგრამ მის მოძლვრებაში უკვე წამოყენებულია 'მიწა'
მყარი' მისი ფიზიკით, რაც გვიანი მონატანია და მოძრაობის უარ-
ყოფა. არაა საჭირო მოგაგონოთ, თუ სად უნდა მოვათავსოთ პაერი,
რომელშიც ანაქსიმენი ხედავდა თავის პირველსაწყისს; ესეც აგრეთვე
მზიანი ცაა, ე. ი. ზემო ცა, რაც არა მხოლოდ ბერძნული ენობრივი
მასალითაც მტკიცდება h'a - er, არამედ რუსულითაც 'воз-дух', ვინა-
იდან ბერძნებმა და რუსებმა თითონ კი არ შექმნეს ეს ტერმინი,
არამედ კაცობრიობის გადანაცხოვრი იმ სტადიური განვითარების
საფეხურიდან მიიღეს, როცა ბერძნების მიერ ჩვენამდის მოტანილი
სიტყვის a-er-ის ha-(ha-er) → a- ნიშნავდა 'ზემოს', როგორც რუს. 'воз'
აგრეთვე რუსების მიერ ჩვენამდის მოტანილი სიტყვის 'воз-дух'-ისა;
მათი მეორე ნაწილები კი - er და 'дух' ნიშნავდა 'ცა-მყარს'; ე. ი.
'მიწას' და ამ მნიშვნელობით ეს სიტყვები შენახულია უფრო ძველი
სისტემის ენებში, სახელდობრ თურქულ და იაფეტურ ენებში: თურქ.

yer 'მიწა', იაფეტელებში კი *di-qə* **də-qə←də-də-də*, რაც უკვე განვმარტეთ. 'მიწა', აგრეთვე 'ცა-მყარი ქვემო', შავი ზღვის ნაპირების აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში მეგრელებში და ჭანებში ანუ ლაზებში, საღაც წინათ ერთიანად სკვითები მოსახლეობდენ, მაგრამ მათშივე ეს სიტყვა ნიშნავდა 'ჩემო ცა-მყარს', რომლის დერივატი *M. doq-ia←→duq-ia* 'ვარია' სომხ. *doq'* ვარია მტრები, 'ვარია' 'მზანი ცა-მყარი', 'მზე', საიდანაც მოქმედება გვაქვს 'მზუსთან', დაკავშირებული მზით კი 'ცეცხლთანაც' — 'დუღება'.

ამ ტერმინის უფრო დაწვრილებით მიკვლევა მსოფლიო მასშტაბით, კერძოდ არაბებში და სხვ., სიტყვის ამ ორმაგი მნიშვნელობის გარკვეულ დამტკიცებას იძლევა.

მიუხედავად ამისა საბერძნეთის ფილოსოფიოსები, თუნდაც მითოლოგიასთან საერთოს მქონე შემეცნების ჩანასახებით გვანიშნება, კაცობრიობის ყოფნას აზროვნების ისეთ მაღალ განვითარების თხევა, როცა უკვე გამოყოფილია ცნება 'დრო' და გაცნობიერებაში მკვერად დანაშევრებულია წარმოდგენები 'წყალზე' და 'ცეცხლზე'.

უკეთუ საბერძნეთის იმ ფილოსოფოსს მივმართავთ, რომელიც ჩვენს მიერ ჩამოთვლილ სამ უძველეს მოაზროვნეს შოსდევს, ყველა-სათვის ცნობილ პითაგორს, მას უკვე აქვს წარმოდგენა სამ ცაზე, ზემო-ფრინველებით (ა პათეუა), ქვემო—მიწიერი ხმელეთის პროდუქტით (ა ჰერაკლ) და ლრმა ცა, რომელიც მცენარეულიანი მიწის ქვემოთაა, ზღვის (ა ალაზან) ან საზოგადოდ წყლის ცხოველებით. ყველა ეს თანამედროვეა მსოფლიოს შემნის მითოლოგიისა, რაც ებრაელებს აწერილი აქვთ ბიბლიის პირველ წიგნში; აქ მათ შეტანილი აქვთ გვიან აღმოცენებული წარმოდგენა სულზე, „ლვთაების სულზე“, რომელიც ებრაელების აზრით ჯერ კიდევ უფსკრულისა და ქაოსის ზემოდან დადის მხოლოდ, პითაგორით კი ერთი სხეულიდან მეორეში სახლდება, საკუთრივ — ერთი კოსმიური გმირიდან მეორეში. თუმცა ებრაულ დედანშიც არის სიტყვა არა 'ლმერთი', არამედ 'ლმერთები' φεიხ-იმ; მეორე მხრით, იმავე ბიბლიურ ტექსტში პალეონტოლოგიურად მიკვლეულია სხვადასხვა სტადიებზე სიტყვა φεიხ-ის (← el-īoh=არაბ. φι [ʃ]-ჟუნ) სხვადასხვა მნიშვნელობაც, სხვათა შორის 'ძალლი', ცხენი, კოსმიურად, 'ცა', 'მნათობები' და *ha-ruah-i* 'სული' (აგრეთვე საიქიოდან გამოწვეული 'მიცვალებული', 'მიცვალებულის აჩრდილი', ამიტომაა ძვ. ლიტ. არაბ. *tilun* 'აჩრდილი' და 'საფარი' (კროვ), 'გადასაფარებელი' (იოკროვ), შეად. ებრ. *tel* ←→ *til* 'აჩრდილი, მაშასაღამე', 'აჩრდილი-სახე', იხ. ზემოთ) არა მარტო სხეულიდან სხეულში გადასახლდება, არამედ თითოეული გადასახლებისას იცვლის თავის შინარსა

და აზრს, ვინაიდან 'ული' ჩემს მიერ ჩამოთვლილი მრავალი მნიშვნელობით საცხებით ანაქრონისტულია: ცნება მის შესახებ მაშინ არ იყო.

იგივე მითი ცნობილია მესოპოტამიაში ჯერ კიდევ შუმერების წინა-სემიტურ სამყაროში, სახელდობრ სამყაროში და არა პატარა, შევიწროებულ სამყაროში.

მათი ცოტემი-სახელწოდება მრავალი ნაირსახეობით სიჭარბით ფარავს ევროპული აზროვნების მიერ გამოყოფილ მთელ რაიონს, როგორც ისტორიული თვალხედვის საგანს; ისინივე სუბარები, კიმერები, იბერები და ა. შ. იმავე ფარგალში, რომელიც მონათესავეა ჩამოთვლილ აზრობრივი გადაქცევებისა და რაც ბიბლიურ ღმერთს დაემართა ტოტემური რიგით, შეყვანილია ფილოსოფოსი პითაგორიც. იგი უკანასკნელი რგოლია გრძელი, ჰერმესიდან მომავალი გმირების ჯაჭვისა, რომელსაც მექვიდრეობით ახსოვს ყველა მისი (ჰერმესის) ქმედობა-ერთმანეთის მონაცვლე საშუალებო იმავე ხანის რგოლების გადაცემით. Her-me, როგორც ცნობილია, შუმერების ტოტემის ნაირსახეობას წარმოადგენს. შუმერულ-იბერული კავშირი. აღნიშნული ტომობრივი სახელწოდებისა წყვილი ნაირსახეობის ორივე ნაწილშია. დადგენილი, კავკასიაში, საერთოდ წინა-აზიაში, ესპანეთთან ერთად. ეს სოციალურ-ეკონომიური ერთეული ნაირსახეობით Her-me-თი და ნაირსახეობით su-bar-ით დასავლეთ ევროპაშიცა შექრილი, ცენტრალურ ევროპაშიც და აღმოსავლეთ ევროპაშიც, გადადის მის საზღვრებს აღმოსავლეთისკენაც — აზიაში და შემდეგ სამხრეთისაკენ აფრიკაშიც. შუმერული ანუ კიმერული ტოტემის ძირითად ნაირსახეობას ეკუთვნის ჰერმესის ხაზით ერთი მხრით ვოლგაზე Ker+e-met, კავკასიაში — სვან. ger+me-შ 'ღმერთი', სომხ. Kar+a-pet, ცენტრში კი ger+ma+n (\leftarrow ger+ma-an \rightarrow ger+ma-n), როგორც 'ტომობრივი', ისე „გვაროვნული“ სოციალური სტრუქტურის ტერმინებში, აქედანვე ნათესავურ ტერმინებშიც — ესპ. her+ma-no 'ძმა', ფრაგ. 'germain', სომხ. el-bayr (\leftarrow * her-bar) 'ძმა', ზოგად სახელებში კი გერმ. hey-m ('heim'), 'თავისთან', hey+ma-t ('Hei-ma-t') 'სამშობლო' და ა. შ. ბერძნული ფილოსოფიის დასაკავშირებლად მითოლოგიასთან არსებითი ინტერესს წარმოადგენს შუმერების ტოტემი Su-bar, შემდეგ სახელწილით ნიშნის ნამატით Su-bar-i. ბერძნებში შპარმ-ს უკვე 'ურჩეულს' ნიშნავდა. ამ წინა-პრომეთეული (წინა-ინდოევროპული) ტოტემის სახელშემორჩა დელფის ახლოს მყოფ წყაროს, სამკითხაო ადგილს. იგივეა მდინარე შპარმ-ის სახელწოდებაში, რომელზედაც ახეაში მდებარეობდა ამავე სახელის ქალაქი. ამ ქალაქიდან გამოსულმა ახელებმა, გადმოცემის მიხედვით, იტალიაში დაარსეს ქალაქი შპარმ, საიდანაც

აწარმოებენ ჩვეულებრივ ფილოსოფიასთან სათანადო ყოფაცხოვრებით დაკავშირებულ სიბარიტებს, როგორც 'ბრინჯაოს' სახელწოდება ქალაქ ბრინდიზის სახელიდან გამოჰყავთ. ელინისტები ქალაქების, მდინარეებისა და წყაროების სახელებსაც ხეთების მონატანად ხსნიან!

ჩვენ არ შევგიძლია ახლა უფრო ღრმად შევიდეთ იმ წარმოების ბაზისის და მისი ტექნიკის მითოლოგიურ ზედნაშენში, რომელიც მათემატიკის და მატრიარქალური საზოგადოებრიობის კოდნას მოითხოვს, აგრეოვე იმ ფენაში ამ მიღწევებით, რომელიც სახელმძღვანელოდ იქნა წამოწეული. ბერძნული სოციალურ-ეკონომიური ერთეულის შექმნის პროცესში და არა ეგვიპტიდნ ან სხვა უცხო ქვეყნიდან მოტანილი. ყველა ამას პალეონტოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს ენის ახალი მოძღვრების მიხედვით. მაგრამ ფილოსოფიის „ჩანასახსაც“ წინ უძლოდა უფრო ნაკლებ განვითარებული აზროვნების მდგომარეობა.

მეტყველების პალეონტოლოგია კი ენის იმ მდგომარეობას აჩენს, და, 'მაშასადამე, აზროვნებისასაც, როცა აზრის სრული გამოთქმა ჯერ კიდევ ვერ ხერხდებოდა, მოქმედება არ იხატებოდა, ე. ვ. არ იყო ზმნა, შემასმენელი, უფრო მეტი — არ იყო სუბიექტი, ე. წ. ქვემდებარე სქოლასტიკური გრამატიკით. მაშ, რალა აზრი იქნებოდა, თუ არ იყო მოქმედება — შემასმენელი, ზმნა და სუბიექტი — ქვემდებარე? სრულიად უბრალოდ: მოქმედება იყო, მაგრამ არა მეტყველებაში, ფრაზაში, არამედ წარმოებაში. ქვემდებარეც იყო, მაგრამ არა ფრაზაში, არამედ საზოგადოებაში; მაგრამ არც ეს მოქმედება, არც ეს სუბიექტი დამოუკიდებლად არა მერავნდებოდა მეტყველებაში, ხელის ენის მიერ. არა მულავნდებოდა წარმოების და საწარმოო ურთიერთობების გარეშე: კმაყოფილდებოდენ საწარმოო იარაღზე მითითებით, როგორც მოქმედებაზე (შრომის პროცესი, შემდეგ წინადადებაში შემასმენელი), დამოუკიდებლად ზმნაზე (მეტყველების ნაწილი) და მშრომელ კოლექტივზე, როგორც სუბიექტზე (შემდეგ წინადადებაში ქვემდებარე, მეტყველების ნაწილი — სახელი არსებითი). ვაშ, რა გამოითქმებოდა მეტყველებით, მაშინდელი ხელის ენით? ობიექტი, მაგრამ არა ჩვენი აზროვნების ნიშანდობლივი წარმოდგენის მიხედვით, როგორც „დამატება“, არამედ როგორც კომპლექსი მიზნის, ამოცანისა და პროცესის (მოქმარების საგნის). მიზანი — ბუნების „საწარმოო“ ძალთა მოსამსახურება (შემდეგ ტოტემი, ახლა მაშინდელი ეპოქების წარმოდგენაში — მისნური ძალები). ამოცანა — საჭირო მასალის დამუშავება და პროდუქცია — მიღებული პროდუქტი, ობიექტი. და იგივეა შედეგიც.

სწორედ აქ ჩნდება აზროვნებაში ლოგიკური აზროვნების საყ-
რდენის კაუზალობის, მიზეზისა და შედეგის ოლქმა, მაგრამ ეს უკვე
ხმიერი მეტყველების დროს.

ხმიერი მეტყველება აზროვნების განვითარების პროცესის კვლევა-
ძიებას ართულებს იმით, რომ ამ დროს აზროვნებაში ხელის ენის
გამო უკვე დიდ დაგროვებას ქონდა ადგილი. ის გარემობა, რომ
ხმიერ მეტყველობაში არაა ესა თუ ის ნაწილი აისხნება იმით, რომ
ხელის ენა წინადადების სათანადო ნაწილის შემასმენელის შემდეგ
მეტყველების განსაკუთრებული ნაწილის — ზმის გამოთქმას ახერხებ-
და. აზროვნება უკვე კოსმიურ სოფლმხედველობაში იყო განვითა-
რებული, მაგრამ მოქმედების მხრივ განსაკუთრებული ზედნაშენური
სიგნალიზაციის საჭიროება არ იყო, ვინაიდან არ ირჩეოდა მოქმედე-
ბა და მოქმედი პირი, ერთიც და მეორეც ხელის სათანადო სიგნალით
ალინიშნებოდა; და როცა მოქმედი პირი, სუბიექტი (შემდეგ სქოლა-
სტიკური გრამატიკით — ქვემდებარე, დამოუკიდებლად — სახელი არსე-
ბითი, მეტყველების ნაწილი), მოქმედებიდან გამოიყო ცნობიერებაში —
მოქმედების გამოხატვა ხელის სიმბოლოთი გრძელდებოდა, მოქმედი
პირი კი უკვე ზედნაშენური იყო, ესაა — ტოტემი: და სწორედ ის საჭი-
როებდა ხმიერი ნიშნით სიგნალიზაციას არა მხოლოდ იმიტომ, რომ
ხელის ნიშნით იგი აშკარად ვერ გამოხატებოდა, არამედ იმიტომაც,
რომ მაშინ ამ სუბიექტით, რომელიც შრომის პროცესის მთელ აზრი-
იანობას საზღვრავდა, და არათანაზიართა წრეში არ უნდა გამომ-
ჟღავნებულიყო, — მოლაპარაკენი სარგებლობდენ როგორც მათი სა-
კუთარი კოლექტივის საწარმოო იარაღით, ექსპლოატაციის საშუალე-
ბით. უკვე ჩნდებოდა კოლექტიური საკუთრების წარმოლგენა: გაჩნდა
სახელნაცვალი, მაგრამ სიტყვათა ეს კატეგორია, შემდეგ — მეტყველე-
ბის ნაწილი, პირველი გაჩნის დროის მიხედვით მეტყველების-
ნაწილი ენაცვლებოდა არა სახელ არსებითს (მაშინ არავითარი სახელ-
ნაცვალი არ იყო), არამედ სახელ-ტოტემს, სოციალურ-ეკონომიკური
ერთეულის, მისი წარმოებისა და საწარმოო ურთიერთობების ზედნა-
შენს, თავდაპირველად საწარმო-სოციალურ კატეგორიას: ვიდრე ეს
კატეგორია არ იყო, არ იყო მეტყველების წყობაც, არ იყო სინტაქსი-
საერთოდ სინტაქსი, წყობა ეს თვითწარმოებაა, შრომის პროცესი, და
მხოლოდ გაცნობიერებასთან ერთად, ე. ი. მატერიალური ბაზისის,
წარმოებისა და საწარმოო ურთიერთობების ზედნაშენად გადაქცევის
შემდეგ, ე. ი. ბაზისს დაშორებული ტოტემის გამომუშავების შემდეგ,
— მიღებულ იქნა, იმავე წარმოების მეტყველების სინტაქსური წყობა,
მაგრამ გაცნობიერებაში. ეს გაცნობიერება ხელის ენის დროსაც იყო,

ამასთანავე ტოტემიც, მაგრამ ხმიერ მეტყველებაში სინტაქსი-წყობა შეოლოდ სიტყვების განრიგებით მიღლებოდა, რომლებიც არავითაუ გაფორმებას არ საჭიროებდენ და არც ჰქონდათ იგი! ტოტემი კი, რომელიც ხმით ალინიშნებოდა, წინააღმდეგ ხელის ენისა, შესაძლებლად ხდიდა ექსპლოატაციის წარმოებას დიდ კოლექტივში. ბრძოლა მიმდინარეობდა ხმიერი ტოტემის და ხმიერი მეტყველების მჯონე კოლექტივსა და არახმიერი მეტყველების, ხელის ტოტემის და ხელის ენის მჯონე კოლექტივს შორის, ვიდრე უფრო მძლავრმა ხმიერი მეტყველების მჯონე კოლექტივმა არ დაამარცხა ყრუ-მუნჯები მხოლოდ ხელის ენაზე მოლაპარაკები, და ვიდრე თვით ხმიერი ენის მჯონე გაბატონებულ ფენაში არ მოხდა დანაწევრება ახალი წარმოების გაჩენის ვაჭო და არ გამრავლდა ხმიერი ტოტემი; ე. ი. ხმიერ მეტყველების მცოდნე კოლექტივებში სხვადასხვა მებრძოლი სოციალური დაჯგუფებები გაჩნდა, რომლებმიც თავი იჩინა წარმოების საჭიროების მიხედვით ჰასაკთა და სქესთა დიფერენციალში: გართულებულმა წარმოებამ და მოთხოვნილებამ ბაზისში, — უფრო გამწვავებული ბრძოლის პროცესში, — შექმნა მწყრივი გართულებული ტექნიკის სხვაობის, საწარმოო ურთიერთობების მთხელვით, თვისობრივად გარდაქმნა სოციალური დაჯგუფებები, ზეღნაშენში კი უფრო ფართო სოფლმხედველობაზე და რთულ წყობილებაზე გადაიყვანა აზროვნების უფრო მეტი ვარკვეული ტექნიკით: მყარდება ცნებებისა და წარმოდგენების უფრო მკვეთრი ურთიერთობა. სად? ან როგორ? — როგორც სინტაქსში, სადაც ისინი წინადადების ნაწილებია, ისე მის გარეთ, სადაც ისინი მეტყველების ნაწილებია, მაგრამ ზეღნაშენის ყოველგვარ რეალურ სიცოცხლეს მოწყვეტილი — გრამატიკის ამ ფუნქციების ქვეშ არის არა უბრალოდ ბაზისი, წარმოება და საწარმოო ურთიერთობები წარმოების იარაღით და წესებით, არამედ მთელი რიგი ზეღნაშენური საფეხურებისა, დაწყებული ზოგადი ცნებებიდან, რომლებიც მატერიალური თუ სოციალური თვალსაჩინოებით დაკავშირებული არიან მასთან, ბაზისთან.

არაა საჭირო პალეონტოლოგიური ანალიზის სიტრამეებში შეგიყვანოთ, რომელსაც ცხოველური სამყაროს საზღვართან მიყევართ, სადაც აგრეთვე არსებობს წარმოება და თითქმის საწარმოო ურთიერთობები, მაგრამ ყოველგვარი ცნობიერების გარეშე. გაცნობიერების გარეშე გართობათა მსგავსებაც კი ცხოველებსა და ადამიანებს შორის მოსაჩერენრად ხდება.

ცხოველების თავის შექცევაზე და გართობა-თამაშობაზე საკმაოლიტერატურა არსებობს, აგრეთვე მათი მატელიარული კულტურის

შესახებ, მათი აზროვნების შესახებ, მათი ჟეკუის ან სულის (l'esprit) შესახებაც. ვის შეუძლია უარყოს საერთოდ, აღარას გამბობთ სპე-
ციალურად ძალუზე ან ცენტზე, რომ ცხოველების ყველასათვის კარ-
გად ცნობილი მოქმედებები და ქცევა მოსაზრებისა და შეგნების აქ-
ტებია. ხშირად მიხვედრილობის უმაღლესი სახე? ამის უარყოფა ნი-
შნავს საკუთარი სალი აზროვნების უარყოფას. ამ მხრივ უამრავი და
შესანიშნავი ფაქტებია დაგროვებული, მაგრამ ეს ფაქტები აზროვნე-
ბის არსება ან ფუნქცია კი არაა, როგორც ცალკე მდგომი ზედნა-
შენისა. ზოგიერთნი რომ ასე ალიქვამენ და ასე შეაფასებენ — ესაა
დაკვირვებების ფორმალურად დაყენების ნაყოფი, მაშინაც კი, როცა
ამ დაკვირვებებს უნაკლოდ აწარმოებენ გამოცდილი ნატურალის-
ტები მათი მეცნიერების ყველა წესის მიხედვით. უბედურება ისაა,
რომ დაკვირვებებში მზა-მზარეული წარმოდგენები შეაქვთ აზროვნე-
ბის შესახებ და ეს წარმოდგენები კი სოციოლოგიურად არაა დამუ-
შავებული, საზოგადოებათმეცნიერთა ხელში გაურკვეველია და უძლები.
აქ საქმის გადამწყვეტად სხვა რიგის სალი აზრი გამოდის, ოთხი კე-
დლის სალი აზრი, რომელიც ბუნებას თავს ახვევს საზოგადოებრიო-
ბის ხასიათს და თვისებებს მისი პროდუქციის ტექნიკით. ცხოველე-
ბის გასაოცარი გონებამახვილობის მრავალრიცხვანი ფაქტები აზ-
როვნების არსება ან ფუნქცია კი არაა, როგორც წარმოების მეო-
ნებით, შუალობით მიღებული განსაკუთრებული ზედნაშენი, ესაა ბუ-
ნებრივი ფაქტორებით განსაზღვრული თვით მოქმედებათა არსება და
ფუნქცია. ცხოველების აზროვნება — საწარმოოა, ამათუმ ცხოველთა
სახის წარმოების სახისგან. მოუწყვეტლად. ცხოველები უფრო ძლიერ
არიან მიმაგრებული თავის წარმოებას, ვიდრე უმები (serfs de glèbe)
მიწაზე, ვინაიდან მათი სამაგრი საზოგადოებრივი ხასიათისა კი არაა,
არამედ ბუნებრივის, და ამ საწარმოო აზროვნებაში არაა დაგროვე-
ბა მისი დინამიკით; არაა, მაშასადამე, ტექნიკური შესაძლებლობანი
და მიზიდულობა თვით წარმოების შესაცვლელად. ცხოველებს აქვს
მეტად ნაირსახის მატერიალური კულტურა, ცხოველთა წრეში არიან
ისეთი მწარმოებლები, როგორიცაა — დამწვნელები, ბამბის მანუფაქ-
ტურისტები, სანთლის ჩამომსხმელი, ტანისამოსის ფაბრიკანტები,
გორაკების მშენებელი, ხიდებისა და გზატკეცილების ინჟინერები, მე-
სანგრები, დურგლები, არქიტექტორები, არტისტები, მაგრამ არა
აქვთ იარაღების შენაცვლება და წარმოების წესები. თაობიდან
თაობაზე მიმავალი, არა აქვთ, მაშასადამე, მატერიალური კულ-
ტურის ისტორია. არც სოციალური ურთიერთობა აქვთ წარმოების
მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, „ნამდვილი ცხენი“,

ცხოველის გონების ერთ-ერთი დამცველის გამოთქმით, „ჰუშმარიტი აზნაურის ემბლემაა“, და „არაბული ცხენი კი (l'etalon arabe) — რაინდია“, და მისი თქმით არ შეიძლება თურმე „საკამათო გუვხაღოთ ნათესაობა კეთილშობილ ცხენსა და აზნაურის შორის, იმდენად სრულია მსგავსება ამ ორ ტიპს შორის“¹⁾.

რაკი ჩვენთვის აუცილებელია ფაქტი — ადამიანის სახის ცხოველური წარმოშობა და მისი შემდეგი გაუმჯობესება არა მხოლოდ სომატური, სხეულის აგებულობისა და გარევნობის, არამედ წარმოების პროცესში აღმოცენებული აზროვნებისაც, — საჭიროა დაგძლიოთ, ამისათვის კი ვიცოდეთ ყველა ის დაბრკოლება, რომლებიც ამ სამკვლევრო გზაზე დგანან საულელტეხილო მომენტის მხრივ; სახელდობრ, უნდა შევიგნოთ, თუ ადამიანთა ცხოველური სახე როგორ აქვთებს ნახტომს ნადირის საფეხურიდან ახალზე, საღაც თვით ის, ადამიანთა კოლექტივი, ცვლის თავის თავს ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც წარმოებაში და საწარმოო ურთიერთობებში, და ავსნათ ეს საკითხი ბუნების მეტყველთა და საზოგადოებათ მცოდნეთა საერთო ძალილონით. წყალგამყოფი მიჯნის იქით კი ცხოველთა სამყაროში არაა გაცნობიერება, საკუთარ აზრში ზეღნაშენური კატეგორიების არასრული გამომულავნებით, — ჯერ კიდევ ვერ შეუცვნია ვერც სუბიექტი, ვერც მოქმედება; მხოლოდ უფროდაუფრო გაძლიერებული ხანგრძლივი ბრძოლით გამოიმუშავებს მათ, შეიცნობს კაუზალობას, მიზეზობრიობას წარმოებაში; მხოლოდ შემდეგ, როცა ძირეული ძრების მთელი რიგი გაიარა, ერთი ფუნქციური ურთიერთობების, კანონზომიერების შენაცვლება მეორით, — საზოგადოებრიობა ძლიერ გვიან ამუშავებს ლოგიკურ აზროვნებას და ენის შემოქმედების სათანადო სისტემის სამყაროს ფორმალური. ტექნოლოგიური აღქმით, როცა ენა-მულერობა ამარცხებს აზროვნებას ისე, როგორც უკვე ჩამოყალიბებული გაბატონებული კლასები ამარცხებენ მშრომელებს და ეს წანამძღვარია იმ სტადიის, როცა ფორმალური ლოგიკა, კლასობრივი აზროვნების კუთვნილება, მის შემქნელ კლასთან ერთად, შეინაცვლება პროლეტარიატის დიალექტიკურ-მატერიალისტური აზროვნებით, სამყაროს იდეოლოგიურ-ტექნოლოგიური აღქმით. აქ აზროვნება ამარცხებს ენას და უფრო მეტად დაამარცხებს, ვიდრე არა მხოლოდ ხმიერი მეტყველების სისტემა იქნება შენაცვლებული ახალ უკლასო საზოგადოებაში, არამედ ერთიანი ენა იქნება შექმნილი; იგი აგრეთვე

1) A. Toussenel, L'esprit des bêtes. Zoologie passionnelle. Mammifères en France, 83. 183.

ჭა უმეტესად ისევე განსხვაშებული იქნება ხმიერისაგან; როგორც და რითაც ხმიერი განსხვავებულია. ხელის ენისაგან, ახალი საწარმოო იარაღით: უკანასკნელი მთელ კაცობრიობას არა მხოლოდ ერთიან აზროვნებას შეუქმნის, არამედ ერთიან მეტყველებას,— მას ბატონპატრონად გახდის და მთელ სივრცეს და დროს დაამორჩილებანებს.

რა წანამძღვრები გვაქვს ამისა სინამდვილეში, როგორც უკვე ჭაადგინა ენის ახალმა მოძღვრებამ მძიმე, თითქოს მისთვის, ამ ე.წ. იაფეტურ თეორიისთვის, აუტანელ ბრძოლაში ორ ფრონტზე.

დადგენილია, ყოველთვის კონკრეტული ენობრივი მასალის ილუსტრაციით, ენის შემოქმედების მონისტური პროცესი: არა მარტო ხმიერი მეტყველების სხვადასხვა სისტემა, არამედ წარმოების იარალის მიხედვით სხვადასხვა ენა, ხელის ენა, ხმიერი ენა, მხოლოდ ცალკეული რგოლებია მეტყველების შემოქმედების ამ გრანდიოზული მონისტური პროცესისა.

მონისტური ენის შემოქმედების არც ერთი ეს რგოლი არც ტექნიკით, არც იდეოლოგიით, არც აზროვნების მხრივ ნატურალური არაა, მოცემული ღმერთის ანუ ბუნების მიერ, ან ბუნებრივი ფაქტორებიდან შექმნილი; ე.წ. ხალხური ენები და ჩამორჩენილ ხალხთა ენები, ყველა ესენი მასების ენებია, ახალი კლასობრივი ენებისა ბატონობით ექსპლოატაციის მიზნით დაბლობებში და მთიან ადგილუბში ეკონომიკურად შერეკილი მასებისა; ან ბრძოლით რომ უკან დაუხვიათ დაუსახლებელი ქვეყნებისა, მატერიკებისა და კუნძულების თავისუფალ უდაბურ ადგილებში, მათი დამუშავების მიზნით და თავისი წარმოების და მატერიალური კულტურის დასაცავად. ენის გადაქცევა საბაასო ენად ესაა დემოკრატიზაცია, რაც იქამდის მივიდა, რომ მოსახლეობის ქვემო ფენები მეტყველების გადანაცხოვრი სისტემის უკეთესი და უმდიდრესი ფონდების დამცველებად იქცენ.

ერთიანი გლობოგონური პროცესის თითოეული რგოლის მიხედვით, რაც განვითარების ახალ სტადიას ეკუთვნის, წარმოების ტემპი ჩეარდება. წერილობისი ხმიერი ენა, 5-დან 10-ათას წლამდის გრძელდება, ხმიერი ენა საერთოდ 50.000-დან 500.000 წლამდის და, მეტიც, სტანდარტიზებული ხელის ენა ერთი მილიონიდან ერთნახევარ მილიონ წლამდის. რაც უფრო ღრმად და შორსაა ჩვენგან რგოლი, მით უფრო მეტია რყევა ნორმებში და ნაკლებია გარკვეულობა აზროვნებაში და აზრების გამოთქმის საშუალებაში ანუ ენობრივ ურთიერთობაში; ამ ფაქტიურ დებულებასთან მხარდამხარ მიდის ის ენით მანიშნი დებულება, რომ რაც უფრო ახლოა ჩვენთან

რგოლი, მით უფრო ძლიერდება კლასობრივია და კლასობრივი ბრძოლა საფლიო მასშტაბით.

ჩვენი ყოფა, მატერიალური კულტურის და მისი ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული, მისი განვითარების იმავე ერთიან მსოფლიო პროცესში მიედინება დაბრკოლებების დაძლევით როგორც სიცრცეში, ისე დროში. ამასთან დაკავშირებით აზროვნების განვითარება, როგორც წარმოებისა და საწარმოო ურთიერთობების ზედნაშენი, რომელიც უფროდაუფრო ხელს უწყობს თავისი ბაზისის წარმატებებს, ჩვენს მონაკვეთში მის სოციალისტურ მშენებლობას, პერსპექტიურ გეგმიანობას, — მოითხოვს გაცნობიერებაში არა მარტო სიცრცის, არამედ დროის დაძლევასაც. აი ჩათაა აუცილებელი წარსულის შესწავლა, ვინაიდან, ვინც ვერ დაეუფლა თავის ცნობიერებაში დროს მის თავდაპირველ ყოფამდის, ვერ დააყენა წარმოშობის პრინციპების სწორი პროგნოზი, — ის ვერ განახორციელებს იმ ვალს, რაც აზროვნებას აწეს — არა მარტო მოეწიოს, არამედ გაუსწროს წარმოებას და ამით უფრო სწრაფი და უფრო უკეთესი მიღწევების ბერკეტი იყოს.

იდეოლოგიურ ფრონტზე კლასობრივი ბრძოლის თანამედროვე მომენტში მე სრულიადაც არ მაოცებს, და წინადაც არ მაოცებდა, თავდასხმა იაფეტიდოლოგიაზე და ყოველგვარი სხვა გამოსვლები. მე აღარ მაოცებს ზოგიერთი მარქსისტის გულგრილობაც და მისი ყოფნა, მაშასადამე, თანამედროვე ერთი მუჭა საზოგადო მოღვაწეების, ენის ახალი მოძღვრების მოწინაამღებებთან ერთ ბანაკში ყოფნა. არაფერი არ მოქმედობს ისე ეფექტურად ძერებზე იდეოლოგიაში, სოფლმხედველობის მობრუნებაზე, როგორც გენეტიკური ანალიზი იმ იარაღისა, რომელიც ამ ზედნაშენურ დარგში მოქმედების საშუალებაა და მისი მიღწევების დაგროვების ჰურჭელი; ცხადია, ენის ახალი მოძღვრება, რომელიც იაფეტური თეორიის მიერ მუშაցდება, მეტად რთული საქმეა, სახელდობრ იმიტომ, რომ ის ფორმალური არაა, ის — იაფეტიდოლოგიური რკვევით — ენობრივ მასალაზე მარქსისტული მეთოდის კონკრეტულ გამომჟღავნებას მოითხოვს, შატრერიალური კულტურის არსებით დამუშავებას და აგრეთვე აზროვნების და ტექნიკის, ე. ი. ფილოსოფიის.

მაგრამ ბურჯუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლა ხომ ასე უბრალო და მსუბუქი არაა!

საჭიროა თუ არა მოგაგონოთ ვ. ი. ლენინის შემდეგი სიტყვები სტატიიდან „მეცნიერება მასებს“: „ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ საფუძვლიანი ფილოსოფიური დასაბუთების გარეშე ვერავითარი ბუ-

ნების მეცნიერებანი, ვერავითარი მატერიალიზმი ვერ აიტანს ბრძოლას ბურუუაზიული იდეების მოწოდის წინააღმდეგ და ბურუუაზიული სოფლმხედველობის აღდგენის წინააღმდეგ“...

თუ კონკრეტიზაცია და უკეთესი მეთოდი არაა მომარჯვებული სპეციალობის ცოცხალ მასალაზე მუშაობისას, ამ შემთხვევაში ენათ-მეცნიერულ მასალაზე, მაშინ პროგრესის წინააღმდეგ მიმართულ იარაღად გადაიქცევიან აგრეთვე უნაკლო მიზანდასახულობის მქონე ორგანიზაციებიც, როგორიცაა: მხარეთმცოდნეობის, აგრეთვე მუშეუ-მები, სხვა სამკლევრო დაწესებულებები, ინსტიტუტები, აკადემიები. მაშინ, რალა შუაშია აქ მუშაობა ენაზე, საკმარისი არაა, დაგაყაროთ ციტატები მარქსისტული წიგნებიდან და ვიფილოსოფოსოთ?

აზანაგებო, მეტი კონკრეტულობა, ნაკლები ნისლი ზოგად მსჯელობაში. კიდევ უნდა მოგავონოთ, რომ, როცა ლასალის „წიგნის „Философия Гераклита Темного из Эфеса“-ს (1915-ან 1916 წ.). კონსპექტში ბერნშა ჩამოთვალი მოკლედ ცალკე თავში ცოდნის მთელი დარგი საგნების მიხედვით; ლენინმა მიაწერა (გვ. 314): „აი, ცოდნის ის დარგები, რომლიდანაც უნდა შედგეს შემეცნების თეორია და დიალექტიკა“, ჩამოთვლილ საგნებში კი კურსივით განსაკუთრებით გამოყოფილია „ენის (ისტორია)“, და დამატებულიც კი აქვს „NB“. აზანაგებო, მეტი კონკრეტულობა მაშინაც, როცა ლაპარაკია არა ენაზე, არამედ ნაციონალობაზე და ნაციონალურ ენაზე.

დავიმოწმებთ მხოლოდ ახლახან გამოსულ მოხსენებას „Языко-вая политика яфетических течений и удмуртский язык“, სადაც: ალვინშენ რა იგივეობა ნაციონალურ პრობლემისადმი მიმართებაში ენის ზოგადი მოძღვრების სპეციალისტის და პოლიტიკოს-რევოლუციონერის, მომყავს მისი სიტყვის ნაწილი — ამბ. სტალინის, სიტყვის, რომელიც მან XVI პარტყრილობაზე წარმოთქვა: „ნაციონალური ენების გაქრობის და ერთ საერთო ენაში მათი გაერთიანების საკითხი არის არა შინასახლმწიფოებრივი საკითხი, არის საკითხი არა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა, არამედ საკითხი საერთაშორისო, საკითხი სოციალიზმის გამარჯვებისა საერთაშორისო მასშტაბით. ლენინი ტყუილად კი არ ამბობდა, რომ ნაციონალური განსხვავება ჯერ კიდევ დიდხება, საერთაშორისო მასშტაბით პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების შემდეგაც კი“.

და ამასთან დაკავშირებით ვაყენებ კითხვას: „როგორი იქნება ეს ენა?“ თეორეტიკოსისათვის აუცილებელი დასკვნაა, იგი გამომდინარეობს ენის ახალი მოძღვრებიდან, რომელიც სტიქიური იყო და შეგნებულ-მარქსისტულად გადაიქცა.

მაში, როგორი იქნება ენა, მომავალი უკლასო საზოგადოების ერთიანი ენა, მასთან აზროვნების როლი?

მრავალი ასეულ-ათასეული წლების განმავლობაში, სამი მილიონის, სტანდარტული ენების საწარმოო იარაღები იცვალნენ, აზროვნების ანგარიშის გაწევით თვისითბრივად თთხი ენის: ხელის ენის, რომელმაც დაამარცხა კომპლექსური უდიფერენცირებული პანტომიკური, მიმიკურ-ხმიერი პიკტოგრაფული ენა ხედვითი აზროვნებით; ლოკალიზაცია უყო რა აზროვნებას მარჯვენა ხელში, ხელის ენამ გაიძარჯვა და, სტანდარტიზირებული, მთელ ქვეყანას მოედო; იგი შენაცვლა ხმიერმა ენამ, რომელიც თავისი განვითარების პირველ სტადიაზე ტორემური აზროვნების მქონე იყო, კოსმიურისა და მიკროკოსმიურის, გაშლილი ხელის მეტყველების შესაძლებლობის გიჯნებში, მეორე სტადიაზე — ფორმალურ ლოგიკური. აზროვნებით, როცა ამ აზროვნებამ სამყაროს ანალიტიკურად აღქმა დაიწყო, უფროდაუფრო შეიტრა მისი აგების ტექნიკაში და მთლიანის გრძნობა დაკარგა, სინტეზი, გამომჟღავნების იარაღის შენაცვლებასთან ერთად (მთელი სხეულის და სხის, პირის ლრუსა და ბგერების), აღქმის იარაღის (გულის, ყურების) და აზროვნების ლოკალიზაციით მარჯვენა ხელში (გულში და, ბოლოს, თავში).

ყველა სტადიაზე აზროვნება განუყრელად ენასთანაა დაკავშირებული, ერთნიარად ცვალებადია მასავით, მაგრამ არის რა ენასავით აგრეთვე კოლექტიური, აზროვნება შორდება ენას ტექნიკით, თვისებით, თავისი სამსახურის რაოდენობრივი ხელშემოხვევით. მოქმედებაში. მყოფი ენა მხოლოდ აქტიურ კოლექტივს ემსახურება, ამასთან სხვადასხვა საზღვრებში — მეტყველების გავრცელების ტექნიკურ სტრუქტური ანუ ხედვითი საშუალებების მრხედვით; აზროვნებისათვის კი ფიზიკური მიჯნები არ არსებობს, ჩაკეტვის მიჯნები კი — დროებითია, რამდენადაც ისინი დროშიც და სიკრცეშიც უკან დგება. ან სრულიად იხსნება ცდაზე დამყარებული მეცნიერების გაფართოებისა და ჩალრმავების მიხედვით.

ენაზე ზეგავლენას ახდენს გარემოცვა. უშუალოდ ან სმენითი გადაცემის შემწეობით მხოლოდ თანამედროვეობაში, წარსულში კი, ისე როგორც მომავალში, მისი დამკიდებულებები მხოლოდ წერით ნალდება, რომელმაც განსაზღვრული სტადიიდან, მოყოლებული ცოცხალი ენა დაიმონა; აზროვნებას კი არა აქვს რა გამომჟღავნების სხვა საშუალება ენისა და მისი მონაცვლის გარდა; არა აქვს თავის ცოდნის მიჯნების გარდა არავითარი დაბრკოლება მთელ სამყაროს თან საურთიერთოდ — წარსულთანაც და მომავალთანაც. აზროვნება

მოქმედებდა რა როგორც ბაზისის ზეღნაშენი, — მასში, ზეღნაშენში, ქნიდა, სახელდობრ აქანდაკებდა იმას, რასაც ვერავინ მიწვდენია, მატერიალურად აქანდაკებდა მითებს, სოფლმხელველობის საწყისებს და ეპოსს. ენა მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც ის ბგერებში გამომყლავნდება, აზროვნების მოქმედება. კი გამოუმულავნებლადც ხდება. ენას, როგორც მულერობას, გამომულავნების ცენტრი აქვს, აზროვნების მუშაობის ცენტრს ტვინის ლოკალიზაცია აქვს, ბაზრამ ეს კველაფერი ფორმალურადაა, განსაკუთრებით ბგერის წარმოება, რომელიც ყოველთვის აზროვნებასთან ან აზროვნების პროდუქტისთან არის შეუღვლებული. ენამ (სმიერმა) უკვე დაიწყო თავისი უუნქციების დათმრბა უახლოეს გამოგონებების წინაშე, რომელიც ულაპარაკოდ ამარტებს სიერცეს, აზროვნება კი ზევით მიღის ძისი დაგროვილი მასალის წარსულში და ახალი მონაგარის გამოუყენებლობის გამო და პრიტომ ცდილობს სრულიად ჩამოაყენოს და შენაცვლოს ენა. მოსაცვლის ენა — აზროვნებაა, რომელიც ბუნებრივი მაცერატისთან თავისუფალ ტექნიკაში იზრდება, მას ვერც ერთი ენა ვერ გაუძლებს, სმიერიც კი, რომელიც მაინც დაკავშირებულია ბუნების ნორმებთან. ტიდი და მცირე ენები ერთნაირად მომაკვდავნია. შედარებით პროლეტარიატის აზროვნებასთან, რომელიც ბრძოლაში ჭედავს უკლასო საზოგადოებას. და ხელს უწყობს სამყაროს ნიშანდობლივი აღმის შემდეგ მკვეთრ გამომუშავებას. მის მიერ, აზროვნების მიერ, განვითარებული ტექნიკით — თანაშემწერა მთელი ქვეყნის გარდაქამოს საქმეში. სწორედ აზროვნება და ტექნიკა უდაოდ დაუმორჩილებენ მთელ სამყაროს კაცობრიობას, ერთადერთ გონიერ პატრონს, რომელიც საწარმოო შრომიდან გამოვიდა; ამ შრომაშ უარის დაქმნა ცხოველი ადამიანად და შეგნებულად შეუერთდა. რა მას, ახალი ცოდნით დაანგრევს დროსა და სივრცეში ჩაკეტებას. და დაიწყებს შექმნას უსაზღვროდ და დაუსრულებლივ.

დასკვნები? ვინ უნდა გამოიყვანოს ისინი პრაქტიკისათვის და თვით თეორიის შემდგომ განვითარებისათვის? თეორეტიკოსმა ხომ არა? ეს — საქმეა ისეთი კრების, როგორიც აქა, სადაც საზოგადოებრიობა ხელმძღვანელობს აზრის. საწარმოო მიმართულებას; საჭიროა ურთიერთ განაყოფიერება.

პრაქტიკული დასკვნები? რომ არა ვთქვათ რა პოლიტექნიკის შესახებ, რომელიც ენის ახალ მოძღვრებას ახსიათებს მისი ახალი გეზით; თეორიასთან ერთად შესაძლებელი გახდა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს პირობებში მისაღები გადაწყვეტა ცხოველების მიერ, და ყენებული ისეთი პრობლემებისა, როგორიცაა პრობლემა. წერისაც

ახალის შექმნისა და რეფორმებისა, საწარმოო და სალიტერატურო ენის პრობლემა, ნაციონალური ენების და საერთო საკავშირო ენის პრობლემა, რუსული ენის და წერის პრობლემა, ენის ტიპიური სახელმძღვანელოს პრობლემა—ენებში საერთო ნიშნების გამოყენებელი და გამამაგრებელი სახელმძღვანელოსი, უცხო ენების შესწავლის პრობლემა.

მაგრამ მათი გამოყენების დასკვნებისა და წესების შესახებ პრაქტიკაში შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ მაშინ, როცა ენის ახალი მოძღვრება იაფეტური თეორიით გაეცემოდა და მიღებული იქნება. მაშინ ამათუმ წერის რეფორმის შესახებ შეიძლება საქმიანი კონკრეტული მსჯელობა ვიქონიოთ მხოლოდ როგორც წერის ერთიანობისაკენ წამყვან სარყეზე (Bexa). თემის მიხედვით კი მე უშუალოდ ერთი დასკვნა მაქვს.

თითოეული რგოლი რადიკალურად ჩამოაყენებს ზოგად განწყობას და მისი მიხედვით გადამუშავებს, რამდენადაც ახლოა ჩვენთან, იმდენად უფრო ღრმად, ყველა კერძოობას; გამოიყენებს წინამავალი სტადიების მინაღწევებს და თავისუფალ გაშლისთვის გამოიწვევს თეორიულ მინაღწევებსაც, რაც ძევლი ყოვის პირობებში გამზადილი იყო ჩასაკვდომად და შეინახნენ მხოლოდ მატერიალური და ზედნაშენური კულტურის ძეგლებში; რაც უფრო დრო გადის, მით უფრო შეტაც აჩენს უსაზღვრო სარბიელს დაუსრულებელი თავისუფალი კვლევისა და შემოქმედებისათვის, ქვეყნის გარდაქმნისათვის. ამას პროგნოზად ვერძნობთ და სწორედ ჩვენი ყოფის პირობებში და სოციალისტური მშენებლობის პირობებში განვიცდით.

სსრკ-ის სამეცნიერო აკადემიას ამ მონაკვეთზე ახალი ტიდება ელის, რომელიც მის მიერ უკვე განცდილ მსოფლიო სახელს დაჩრდილავს. ძევლი აკადემიკურების ინდივიდუალურ შრომებს არც ახლა დავამცირებთ, მაგრამ სამეცნიერო აკადემიის მიღწევები გაუზომელად გაიზრდება, როცა მასში შემავალი განსაკუთრებული ოსტატების შედეგები (თითოეული — ოსტატია თავის საქმისა და თავის სპეციალობის მასალების დაუფლებითაც ახალ ძალებთან ერთად, რომლებიც შეყვანილია და ახლაც შეიყვანება მათ წრეში) დაუყოვნებლივ ახალი გზით წაიყვანენ ყველა საკავშირო ნაციონალურ ორგანიზაციებთან ერთად ერთიანი მეთოდით; ამასთანავე კოლექტიურად შეიტანენ მასებში ამ შედეგებს, მასების მეოხებით პრაქტიკაში შემოწმებული და განაყოფიერებული ჩვენი წარმოება და ჩვენი აზროვნება, საბჭოთა აზროვნება, მთელი ჩვენი კავშირის სოციალისტური გარდაქმნით, პროლეტარულ აზროვნებაზე გადაიყვანს მთელს ჩვენს მოწინააღმდეგე სამყაროს შიგნითაც და კავშირის გადაღმაც.

40

3 31

